პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 247 (20593) ✦ პარასკევი, 27 ოქტომბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ფინეთში

25 ოქტომბერს მ. ს. გორბაჩოვი ფინეთში ჩავიდა. ჰელსინკის ვანტაას აეროპორტში, სადაც აღმართული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშები, თვითმფრინავის კიბესთან საბჭოთა ხელმძღვანელს და მის მეუღლეს მიესალმნენ ფინეთის პრეზიდენტი მ. კოივისტო მეუღლითურთ, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროპორტიდან მ. ს. გორბაჩოვი და მ. კოივისტო ავტომანქანით გაემგზავრნენ სსრ კავშირის საელჩოში, სადაც საპატიო საბჭოთა სტუმრის რეზიდენციაა.

ფინეთის ოქმის შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციის წინ მდებარე დედაქალაქის კაუპატორის ცენტრალურ მოედანზე. ცერემონიაში მონაწილეობდნენ მ. კოივისტო, ფინეთის სხვა ხელმძღვანელები. მ. ს. გორბაჩოვს მიაგეს უმაღლესი მხედრული პატივი, მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა საბჭოთა პრეზიდენტს, ორკესტრმა შეასრულა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. მ. ს. გორბაჩოვმა და მ. კოივისტომ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. საპატიო საბჭოთა სტუმარს წარუდგინეს პარლამენტის თავმჯდომარე კ. სორსა, პრემიერ-მინისტრი ჰ. ჰოლკერი, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. პაასიო, ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

შემდეგ ორი მეგობარი სახელმწიფოს მეთაურები შევიდნენ პრეზიდენტის სასახლეში, სადაც ყვითელ დარბაზში გაიმართეს დაგეგმილი საუბრებიდან პირველი. მისი დამთავრების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი და მ. კოივისტო გამოვიდნენ აივანზე, რათა მისალმებოდნენ სასახლის წინ შეკრებილ დედაქალაქის მცხოვრებლებს.

სურათზე: მოლაპარაკების დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დღესვე დაიწყო მ. ს. გორბაჩოვისა და მ. კოივისტოს ოფიციალური მოლაპარაკება. ფინელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სუომის დედაქალაქში გამართულმა მოლაპარაკებამ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა შეიძლება აიყვანოს თვისებრივად ახალ დონეზე და ხელს შეუწყობს სრულიად ევროპის სახლის საძირკვლის განმტკიცების საქმეს. კ. სორსამ პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: ეს არის მ. ს. გორბაჩოვის პირველი ვიზიტი ფინეთში, და უნდა ველოდოთ, რომ მის დროს განხორციელდება ისტორიული გადაწყვეტილებანი ორი ქვეყნის ურთიერთობის დარგში. მას შეუძლია თავისი თვალით ნახოს, თუ როგორია საბჭოთა კავშირის უახლოესი მეზობელი. მე, როგორც ადამიანი, რომელიც დიდი ხანია მონაწილეობს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებაში, სიმპათიით ვეკიდები საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს.

ფინეთის მიწა-წყალზე ყოფნის პირველი დღის მეორე ნახევარში მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ დედაქალაქის ჰიეტანიემის სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ ფინეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, პრეზიდენტები ი. კ. პაასიკივი და უ. კ. კეკონენი. მათ სახელებთან დაკავშირებულია დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები ჩვენი ქვეყნების მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში. საბჭოთა ხელმძღვანელმა გვირგვინებით შეამკო საფლავები.

შემდეგ კორტეჟი მივიდა ჰაკანიემის მოედანზე, სადაც მდებარეობს ვ. ი. ლენინის მუზეუმ-ბინა. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მომავალი ბელადი იქ ცხოვრობდა 1917 წლის აგვისტოში ფინეთში თავისი მრავალგზის ყოფნიდან ერთ-ერთი წვევის დროს. გვირგვინით შეამკეს სახლის მემორიალური დაფა. მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა მუზეუმი და ჩანაწერი დატოვა საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში.

ათასობით ადამიანი, რომლებსაც მოედნის პერიმეტრით ცოცხალი ჯაჭვი შეექმნათ, მიესალმა საბჭოთა ხელმძღვანელს. გაისმოდა შეძახილები: „გარდაქმნა — კარგია!“, „გორბაჩოვ, გორბაჩოვ!“ „მეგობრობა!“ მიხეილ სერგის ძე მივიდა ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებთა ჯგუფებთან, გაიმართა გულახდილი, გულითადი საუბარი.

მთელი მარშრუტის გაყოლებით, რომლითაც ავტომობილების კორტეჟი მიდიოდა, საპატიო საბჭოთა სტუმარს ხვდებოდნენ დედაქალაქის მცხოვრებნი და პრესის მრავალი წარმომადგენელი, ფოტოჟურნალისტები. როგორც საქდესის კორესპონდენტს ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრში უთხრეს, ამ ვიზიტის გასაშუქებლად აკრედიტაციის შესახებ თხოვნით მიმართა 1000-ზე მეტმა ადგილობრივმა და უცხოელმა ჟურნალისტმა. ფინეთში მ. ს. გორბაჩოვის ჩამოსვლა და შეხვედრები მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების ინფორმაციისა და კომენტარების წამყვანი თემა გახდა.

საღამოს პრეზიდენტის სასახლეში მ. ს. გორბაჩოვისა და რ. მ. გორბაჩოვას პატივსაცემად გაიმართა სადილი მ. კოივისტოსა და მისი მეუღლის სახელით. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ნ. იაკოვლევი, კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ჰელსინკში მყოფი საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჯგუფი.

მ. კოივისტომ და მ. ს. გორბაჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ა. გოროხოვი,
ა. პრისიაჟნი,
ი. რომანცოვი,
ა. სურიკოვი,
ვ. ჩუქსეევი.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც მუშაობა დაიწყო 25 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში, მოწოდებულია გზა გაუხსნას მნიშვნელოვან ცვლილებებს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ცხოვრებაში. დეპუტატები განიხილავენ რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რუსეთის სფს რესპუბლიკის და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონების პროექტებს.

ამ საკითხის თაობაზე მოხსენება გააკეთა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ი. ვოროტნიკოვმა. მან აღნიშნა, რომ აგვისტოში გამოქვეყნებულ კანონების პროექტებს მრავალი გამოხმაურება მოჰყვა რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

სესიაზე უნდა განიხილონ აგრეთვე საკითხი რსფსრ და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები და რუსეთის სფს რესპუბლიკა გადავიდეს თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, აგრეთვე დამტკიცდეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი. (საქდესი).

განვამტკიცოთ მართლწესრიგი კოოპერატიულ სფეროში

24 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. ი. რიჟკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების მორიგი თათბირი ეკონომიკური სამართალდარღვევებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე.

თათბირზე საფუძვლიანად გაანალიზეს სამედიცინო კოოპერატივების საქმიანობა. როგორც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ე. ი. ჩაზოვის მოხსენებაში აღინიშნა, მათი განვითარების მიზანია მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამოსწორება. 1989 წლის პირველ ნახევარში სამედიცინო კოოპერატივების ქსელი ქვეყანაში, გამაჯანსაღებელი კოოპერატივების ჩათვლით 1,9-დან 2,8 ათასამდე გაიზარდა. კოოპერატივებში შრომობს 48 ათასამდე კაცი. ასეთი კოოპერატივების შექმნის შედეგად რამდენადმე შემცირდა დატვირთვა მთელი რიგი რაიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, უფრო ფართოდ ებმებიან მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევაში ვიწრო სპეციალიზაციის ექიმები, განსაკუთრებით იქ, სადაც საკმარისად არ არის განვითარებული პოლიკლინიკების ქსელი. ცალკეული კოოპერატივები აწარმოებენ გულმოწყალების მომსახურებას, იყენებენ მკურნალობის არატრადიციულ მეთოდებს, იწვევიან აღდგენითს შრომათერაპიას ინვალიდებისათვის.

ამასთანავე სამედიცინო კოოპერატივების საქმიანობაში გამოვლინდა ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც ეწინააღმდეგება როგორც მორალურ-ეთიკურ ნორმებს, ასევე კანონსაც.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო რომ სამედიცინო კოოპერატივების შექმნა მთელ რიგ შემთხვევებში ხდება ჯანმრთელობის დაცვის და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების ნებადაურთველად. მრავალ კოოპერატივში გამოვლინდა ცუდი სანიტარიული მდგომარეობა.

ადამიანთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს მომსახურების უზომო სიძვირე, ზოგჯერ მრავალგზის რომ აღემატება სახელმწიფო ტარიფებს. ამავე დროს სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულებებით კოოპერატივები მათ იჯარით აღებული შენობების, მოწყობილობისა, მასალებისა და მედიკამენტებისათვის მყარი ფასებით უხდიან საფასურს. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა უნიკალური მოწყობილობა და ხელსაწყოები იჯარით გადაეცემა კოოპერატივებს ჯანმრთელობის დაცვის იმ ძირითადი ამოცანების საზიანოდ, რომელთა მიზანია უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა. აფთიაქებში ყიდულობენ დეფიციტურ წამლებს.

ადგილობრივ ხელისუფალთა მხრივ წაყრუებას, ამ სფეროში არსებული მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტისაგან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თვითჩამოცილებას მოჰყვა ის, რომ ზოგან სახელმწიფო სამეურნეოანგარიშიან სამედიცინო დაწესებულებებს არსებითად აძევებენ კოოპერატივები. იმის გამო რომ არ არის შემუშავებული კანონმდებლობა, რომელიც ამ მოვლენებთან ბრძოლას გაითვალისწინებდა, ანგარებიან საქმოსნებს საშუალება ეძლევათ უშრომელი შემოსავალი მიიღონ კოოპერატივებში, ეს კი წარმოშობს სოციალურ დაძაბულობას სამედიცინო მუშაკებსა და მოსახლეობას შორის.

თათბირის მონაწილეთა აზრით განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის კოოპერაციულ სტრუქტურათა შერწყმა სახელმწიფო სტრუქტურებთან. არის ფაქტები, როცა ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობენ კოოპერატივების საქმიანობაში.

თათბირზე გამოითქვა საფუძვლიანი კრიტიკა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მისამართით კოოპერატივების საქმიანობაში არსებული ნეგატიური გამოვლინებებისადმი პასიური პოზიციის გამო. დღემდე არ არის კოოპერატივებში გაწეული დიაგნოსტიკური და სამკურნალო დახმარების ხარისხისადმი კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი. არ არის განსაზღვრული, თუ რა იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება კოოპერატივსა და იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელს, რომლის ბაზაზე მუშაობს კოოპერატივი, იმისათვის, რომ დროზე არ ისმება ან შეცდომით ისმება დიაგნოზი და სხვა უმართებულო მოქმედებისათვის. სამედიცინო კოოპერატივებზე არ ვრცელდება გამოვლენილ ინფექციურ და ონკოლოგიურ დაავადებათა შესახებ ინფორმირების წესი.

თათბირზე ამ საკითხის განხილვის შეჯამებისას ნ. ი. რიჟკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამედიცინო კოოპერატივების საქმიანობაში არსებული პლუსები და მინუსები გამოხატავს საერთო წინააღმდეგობებს, რომლებიც ქვეყნის კოოპერაციულ მოძრაობაში წარმოიშვა მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე. სწორი არ იქნებოდა სამედიცინო მიმართულების კოოპერატივების შეკვეცის საკითხის დაყენება. ისინი უნდა განვავითაროთ, მაგრამ ჯანსაღ საფუძველზე, მოქმედი კანონებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. სამედიცინო კოოპერატივების ნაკლოვანებებმა გამოავლინა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემის სუსტი მხარეებიც, რომლის სრულყოფა ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ძირითად გზად გვესახება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სამედიცინო კოოპერატივების მუშაობა ზუსტად შეესაბამებოდეს სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონის დებულებებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 დეკემბრის დადგენილებას. ადამიანთა ჯანმრთელობასთან უშუალოდ დაკავშირებული მათი საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს მეტი საჯაროობისა და კონტროლის ვითარებაში.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია კოოპერატივებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკების შესვლა რომელთა ფუნქციებში შედის კოოპერატივების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებანი სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საფინანსო კონტროლის სამსახურების განმტკიცებისათვის, კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ამასთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებანი ეძლევათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და შესაბამისი რესპუბლიკური სამინისტროების, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სამართალდამცავი ორგანოების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. ა. კრიუჩკოვი, ა. პ. ბირიუკოვა, ბ. კ. პუგო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. ი. სუხარევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ს. შკაბარდნია, სსრ კავშირის მინისტრები ვ. ვ. ბაკატინი, ვ. ა. დურასოვი, ვ. ს. პავლოვი, კ. ზ. ტერეხი და მთელი რიგი ეკონომიკურ უწყებათა ხელმძღვანელები. (საქდესი).

გადამამუშავებელი მრეწველობა

სეზონი დაიწყო, ნედლეული კი არ ჩანს

რესპუბლიკის „ტკბილ პლანტაციებს“ მეჭარხლეთა ხელი და მონდომება აკლია

შაქრის ტალონი... კარგა ხანს იგი ლოკალური მოვლენა გვეგონა, მაგრამ შაქრის ფხვნილის დეფიციტი წლიდან წლამდე შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელ მრეწველობაში მზარდ სიძნელეებთან ერთად იზრდებოდა და დღეს უკვე აღარავის გვაკვირვებს, რომ მისი „გავლენის სფერო“ პრაქტიკულად მთელი ქვეყანა გახდა.

ყოველწლიურად თითოეულ სულზე გაანგარიშებით საშუალოდ 46,8 კილოგრამ შაქარს ვხმარობთ, რაც საგრძნობლად აღემატება სამედიცინო ნორმას.

და მაინც — ტალონი, რიგები შაქრის ფხვნილზე...

— **ჩვენს** ქვეყანაში შაქრის ჭარხლის ისეთი გადამამუშავებელი გიგანტებია, რომ საქართველოს შაქრის კომბინატი მათთან შედარებით ერთი მცირე სიმძლავრის წარმოებაა. და მაინც იმაზე თუ რამდენად მომზადებული შეხვდება იგი შაქრის ჭარხლის გადამუშავების სეზონს, ბევრად არის დამოკიდებული „ტკბილი კონვეიერის“ წარმატებული ფინიში. — ასე დაიწყო საუბარი კომბინატის დირექტორმა კლიმენტი მჭედლიძემ.

წლევანდელი სეზონისათვის კი კომბინატი მართლაც კარგად მოემზადა.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ ეს საწარმო 1932 წლიდან არსებობს. იყო დრო, როცა აქ 120-150 ათას ტონა ნედლეულს ამუშავებდნენ. ახლა, როცა შაქრის ჭარხლის ნათესები მარტო ქართლის რაიონებში შემორჩა, ნედლეული ლამის განახევრდა. ამის მიუხედავად კომბინატი წლიდან წლამდე სარემონტო ვადების უკმარისობას განიცდის: დამთავრდება ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება და, კონვეიერზე გამოჩნდება იმპორტული ნედლეული — შაქრის ლერწამი, რომლის დამუშავების ხანგრძლივობა ზამთრიდან ლამის ზაფხულამდე გრძელდება, და ის 80 სამუშაო დღე, რომელიც კომბინატის დაზგა-დანადგარების სხვა მეურნეობის რემონტისთვის არის განკუთვნილი, თვალსა და ხელს შუა ადნებათ აქაურ მეშაქრეებს.

მაგრამ წლეულს სასიამოვნო გამონაკლისი გაკეთდა და აგარელ მეშაქრეებს საშუალება მისცეს საფუძვლიანად შეეკეთებინათ კომბინატის საამქროები. საფუძვლიანად, რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და სეისმედეგობის ინსტიტუტის სპეციალისტთა დასკვნა იმის შესახებ, რომ კომბინატის საამქროები, ტექნოლოგიური ხაზები და კომუნიკაციები ავარიულ მდგომარეობაშია და აუცილებელია მათი გადაუდებელი კაპიტალური რემონტი.

ასეთი რემონტი ჩატარდა და მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობის დროული დამთავრება, ტექნოლოგიური ხაზების გაწყობა-მონტაჟი გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, კომბინატის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ შაქრის ჭარხლის გადამუშავების სეზონს მომზადებული შეხვედროდა. მეშაქრეებმა გადაწყვიტეს მთავარი ამოცანა — დროულად აამოქმედეს ტექნოლოგიური ხაზი, შაქრის ჭარხლის წვენის გადამამუშავებელ საამქროში ორი ახალი დანადგარი დამონტაჟდა, იგი სპიტაკელებმა გამოუგზავნეს აგარელებს მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში მიწისძვრის შედეგად დაინგრა შაქრის ქარხანა. მთლიანად შეიცვალა ელექტრომეურნეობა, საფუძვლიანად გარემონტდა დიფუზური ხაზი, სრულ მზაყოფნაშია საქვაბე მეურნეობა — სამი 75-ტონიანი ქვაბი და ა. შ. სარემონტო სამუშაოები შესრულებულია ადგილობრივი ძალებით, აგრეთვე კიროვაგრადიდან და კრასნოდარიდან მოწვეული სპეციალისტებით.

კომბინატი მზადაა ნედლეულის მისაღებად, მაგრამ რა მდგომარეობაა დღეს მეჭარხლეობის რაიონებში, მზად არიან თუ არა ისინი შაქრის ჭარხლის ამოსაღებად?

წლევანდელი წელი უაღრესად არახელსაყრელი იყო ამ კულტურის ნათესებისათვის. ხანგრძლივმა გვალვამ იმდენად დააზიანა ურწყავი ფართობები, რომ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ნიადაგი თავიდან გადაიხნა და ხელმეორედ დაითესა. იქ, სადაც გულისყური არ მოაკლეს ნათესებს, მოსავალსაც უხვს მოელიან. ხაშურის რაიონში ეს არის „ზემო ქართლის“, სატივის, წრომის, ქვიშხეთის, ალის, წაღვლის, ცხრამუხის საზოგადოებრივი მეურნეობები, გორის რაიონიდან — ხელთუბნის, ვარიანისა და კარალეთის, კასპის რაიონიდან — ქვემო ჭალის კოლმეურნეობა, ქარელის რაიონის მეტი წილი საზოგადოებრივი მეურნეობები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან წლეულს შაქრის ჭარხლის დავალების შესრულების იმედი აქვთ ორჯონსის, წინაგრის, თერგევანის, ქემერტის საზოგადოებრივ მეურნეობებს. მოსალოდნელია, რომ რესპუბლიკაში გეგმის შესრულებას დააკლდება 2000 ტონამდე შაქრის ჭარხალი.

იმ გრაფიკის მიხედვით, რომელიც საგრომრეწვის კვების მრეწველობის მთავარმა სამმართველომ შეადგინა, დღეისათვის შაქრის ჭარხლის მწარმოებელ რაიონებს საქართველოს შაქრის კომბინატში უნდა გადაეზიდათ 18000 ტონა ნედლეული, ფაქტობრივად სადღეისოდ გადაზიდულია 500 ტონა.

ერთის მხრივ, გასაგებია საზოგადოებრივ მეურნეობათა თავკაცების მდგომარეობა: ახლა ბაღებში ხილის კრეფაა გაჩაღებული, იღებენ ბოსტნეულს, აბინავებენ მარცვლეულს, სიძნელეები შეიქმნა საწვავ-საცხები მასალებით ავტოსატრანსპორტო საწარმოების მომარაგებაში. მაგრამ მეორე მხრივ, ნედლეულის მოუწოდებლობა კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს წინაშე აყენებს შაქრის კომბინატს. იქმნება საშიშროება, რომ ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება ამ წელს ვერ მოესწრება, იანვარ-თებერვალში კი როდესაც მასობრივად შემოვა იმპორტული ნედლეული (რომელიც ადგილობრივისაგან განსხვავებით მომგებიანია) კომბინატს არ ეყოფა სიმძლავრეები მისი დროული გადამუშავებისათვის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მეჭარხლეობის მეურნეობებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ შაქრის ჭარხლის ამოღების ოპტიმალური ვადა, რომელიც უკვე დადგა. დაგვიანება და ზოზინი საქმეს საგრძნობლად დააზარალებს.

გურამ ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ საგუშაგო

რა ვიღონოთ?

როგორ ვებრძოლოთ ნიტრატებს, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანის ოჯახში აღმოჩნდეს?

ლილოს ხილ-ბოსტნეულის შესანახ კომბინატში მოქმედი „კომუნისტის“ საგუშაგოს წინა მასალით მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ახალქალაქის რაიონიდან ბაზაში უხარისხო კარტოფილს ეზიდებიან. აღვნიშნავდით, რომ იქიდან გამოგზავნილი კარტოფილის მთლიან მასაში 21 პროცენტი მიწა იყო სტანდარტებით გათვალისწინებული 1 პროცენტის ნაცვლად. როგორც ჩანს ამ პუბლიკაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმეში ზემდგომი ორგანოებიც ჩაერივნენ. როგორც ასეთ დროს ვიტყვით ხოლმე, ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ კვლავ შემოწმდა ახალქალაქიდან შემოზიდული კარტოფილის ხარისხი. როგორც გამოირკვა, ჩვენს კრიტიკას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რამეთუ განმეორებით შემოწმებისას მიწის ხვედრითი წილი უკვე 22 პროცენტამდე გაზრდილიყო!

... ახლა ზემდგომი ორგანოების ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ლილოს კომბინატში თბილისელებისათვის და რუსთაველებისათვის აუცილებელი და საჭირო ოდენობის კარტოფილი თუ სხვადასხვა სახის ბოსტნეული შემოიტანონ და ზამთრისთვის შეინახონ. ბაზაში ახლა დღენიადაგ საქმიანი ფუსფუსია. ხშირია ტელეფონის ზარიც: აი, დღეს უკვე მეორედ დარეკა „თბილაგრომრეწვის“ კომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ ჯაბადარმა. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ.

— როგორია თქვენი და პროდუქციის მომწოდებელი რაიონების პარტიული თუ სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანი ურთიერთობა? — ვკითხეთ თენგიზ ჯაბადარს.

— ისინი კატეგორიულად ითხოვენ, რომ პროდუქცია ადგილზე მივიღოთ. ეს ჩვენც ხელს გვაძლევს, მაგრამ თუ მათ რაიონებში არ შექმნეს პროდუქციის დამხარისხებელი პუნქტები, ისე ხარისხიან კარტოფილსა და ბოსტნეულს ვერ შემოვიტანთ. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა ყოველთვის იქნება დავა მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის, ასეთ ვითარებაში კი ობიექტურობა ყოველთვის გამორიცხულია. „საქსახაგრომრეწვმა“ მიიღო არა ერთი დადგენილება, რომლის თანახმადაც რაიონებში უნდა შეექმნათ პროდუქციის დამხარისხებელი პუნქტები. მაგრამ ეს ღონისძიებები ქაღალდზე დარჩა, რაც თავისთავად ხელს უშლის მინდორი-მაღაზია-მომხმარებლის მეთოდით მუშაობას.

მერე საქმემ მოიტანა და, საუბრისას გაირკვა, რომ ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის ბაზა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია: მათი ძირითადი მომხმარებლები არიან თბილისისა და რუსთავის ხილბოსტანვაჭრობის განყოფილებები. ისინი გადახდისუუნარობის გამო რამდენიმე წელიწადია დაკრედიტებიდან მოხსნეს. მათ კი დღეისათვის ლილოს კომბინატისა 8 მილიონი მანეთი მართებთ. იმის გამო, რომ კომბინატს ფული არა აქვს, ეს უკანასკნელი ვერ უხდიდა პროდუქციის მომწოდებელ ორგანიზაციებს. კომბინატს 7 მილიონ მანეთამდე ვალი აქვს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ცამდე მართლები იყვნენ ის რაიონები და საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც ლილოს კომბინატში კარტოფილსა და ბოსტნეულს ეზიდებოდნენ, ხოლო ფულს კი ვერ იღებდნენ, რის გამოც სამართლიან პრეტენზიებსაც აცხადებდნენ. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თბილისელ და რუსთაველ მშრომელებს ამ ფინანსური გაწამაწიისა არაფერი ეკითხებათ, მათ სურსათი სჭირდებათ. ლილოს კომბინატმა ბანკიდან მოკლევადიანი სესხი აიღო და ვალი ისე გაისტუმრა. ასე რომ, მათი მხრიდან სურსათით მომარაგებაში შეფერხებები არ იქნება, მაგრამ თუ ხილბოსტანვაჭრობის განყოფილებები ვალს არ გადაიხდიან, ლილოს კომბინატი პირშავი დარჩება სახელმწიფო ბანკთან. მათვე მოუწევთ საურავებისა და ჯარიმების გადახდა. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კომბინატს დაკრედიტებიდან მოხსნიან. აი მაშინ კი შესაძლოა შეფერხდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის შემოზიდვა.

დღეისათვის კი, ლილოს კომბინატში ასეთი ვითარებაა. ჯერჯერობით შენახული აქვთ მხოლოდ 164,4 ტონა ნიორი. ეს მესამედიც არ არის იმისა, რაც გვჭირდება. ამ ძვირფასი პროდუქტის სიმცირე გამოწვეულია იმით, რომ მხოლოდ კასპის რაიონმა შეასრულა ნივრის შემოზიდვის გეგმა. რაც შეეხება თეთრიწყაროს, ყვარლისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებს, მათ ნიორი საერთოდ არ შემოზიდეს.

უკვე 2 თვეზე მეტია ხახვს ეზიდებიან, მაგრამ დღემდე რესპუბლიკის რაიონებიდან შემოტანილია მხოლოდ 2000 ტონა ეს პროდუქცია. იგი საერთოდ არ შემოუტანიათ ბოლნისისა და ხაშურის რაიონებს. ხოლო მცხეთის გარდა გეგმას ვერ ასრულებს ვერც ერთი ხახვის მომწოდებელი რაიონი. როგორც ვიცით, დეფიციტი რესპუბლიკის გარედან შემოზიდული ხახვით შეივსება. შედარებით დამაკმაყოფილებელია კარტოფილის შემოზიდვის საქმე. დღეისათვის კომბინატის საცავებში შენახულია 16611,5 ტონა კარტოფილი. აქედან 1803,8 ტონა საკავშირო ფონდიდან არის მიღებული. თუმცა შენახვის გეგმის შესრულება მაინც საფრთხეშია, რადგან ახალციხის რაიონს საგეგმო 1000 ტონის ნაცვლად გადმოტვირთული აქვს მხოლოდ 185 ტონა, ახალქალაქის რაიონს 12000 ტონის ნაცვლად — 5300 ტონა. კარტოფილის შემოზიდვას აფერხებენ აგრეთვე წალკელები. შედარებით უკეთ მუშაობენ ბოგდანოვკელი მეკარტოფილეები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საკავშირო ფონდით კუთვნილი კარტოფილის გადმოტვირთვა. ჯერჯერობით კარტოფილი ჩვენთვის საერთოდ არ მოუწოდებია ორიოლის ოლქს და ესტონეთის სს რესპუბლიკას.

ამ დღეებში მოგილიოვის ოლქიდან შემოზიდეს 1900 ტონა კარტოფილი. პროდუქცია მაინც და მაინც ხარისხიანი ვერ არის, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ სათანადო ლაბორატორიული ანალიზის შემდეგ მთელ მასაში ნიტრატები და რადიაცია ნორმის ზევით არ ყოფილა.

სამაგიეროდ თავი ისახელეს წალკის რაიონის ავრალოს საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეებმა. მათ მიერ კუშინის პუნქტიდან გამოგზავნილ კომბოსტოში (ზედნადების № 191487) ნიტრატები ნორმის ზევით აღმოჩნდა. ნორმაა 500 მილიგრამი კილოგრამში, ფაქტობრივად იყო 650 მილიგრამი — კილოგრამში, კომბინატმა, რა თქმა უნდა, ასეთი „ხარისხიანი“ კომბოსტო უკან გააგზავნა.

ჩვენ კი გულისტკივილით უნდა ვთქვათ: იქნებ ასე გულმოდგინედ არა ვართ ჩადარაჯებულები და ყოველი კილოგრამი პროდუქცია არ ისინჯება. მაშინ რას გვერგებით, ძვირფასო ავრალოელო მებოსტნეებო, გვწამლავთ?

ჯემალ ქურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

რედაქციისაგან:

ნიტრატების პრობლემა ფრიად სერიოზულად დადგა ჩვენს წინაშე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნით, ლილოს კომბინატში არ შეინახავენ ზედმეტი ქიმიკატებით გაჟღენთილ არც ერთ გრამ კარტოფილსა თუ ბოსტნეულს. ამდენად თბილისელ და რუსთაველ მშრომელებს შეუძლიათ თამამად შეიძინონ ეს პროდუქცია „თბილაგრომრეწვის“ მაღაზიებში. მაგრამ რა ვუყოთ საკოლმეურნეო ბაზრებს? არის სიგნალები, რომ იქ ლაბორატორიული შემოწმებები ხშირად ფორმალურია. და ეს მაშინ, როდესაც ვიცით, რომ მაგალითად, ქვემო ქართლის მოსახლეობა, ოღონდაც როგორმე ადრე და მეტი რაოდენობით მოიწიოს მოსავალი, საკარმიდამო ნაკვეთებში განუკითხავად ხმარობს ქიმიურ სასუქებს. საკოლმეურნეო ბაზრების მომხმარებელ ქალაქელებს კი საერთოდ არა აქვთ რაიმე ინდივიდუალური ხელსაწყო თუ საშუალება, რათა თავად გასინჯონ ყიდვისას პროდუქცია და ნიტრატიანი ნაწარმი არ შეიძინონ. ნუთუ ასე ძნელია მათი სერიული წარმოება? — გვეკითხებიან მკითხველები. ჩვენი მხრივ „საქსახაგრომრეწვსა“ და სხვა შესაბამის სამსახურებს ვთხოვთ გაგვაგებინონ ჩვენცა და მკითხველებსაც, რა კეთდება და უნდა გაკეთდეს საამისოდ. მართლაც, რა ვიღონოთ?

მწვავე სიგნალი

ნუ ვაყოვნებთ ჯართის დამზადებას

მეორეული შავი ლითონის დამზადების ცხრა თვის გეგმა რესპუბლიკაში დიდი ვაივაგლახით შესრულდა. მაგრამ ეს ძირითადად ზოგიერთი ჯართის ჩამბარებლის, უწინარესად თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, საბურთალოს, ქუთაისის ავტოსაქარხნო და ლენინის რაიონების, ქალაქების — ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, აგრეთვე თელავის, მარტვილის, ხონის, ჩოხატაურის, აბაშის, წალენჯიხის რაიონების გამართული მუშაობის ხარჯზე გაკეთდა. მათ გათვალისწინებულზე მეტი ლითონი რომ არ ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის, დავალება ვერ შესრულდებოდა.

მთლიანობაში ათასობით ტონა ლითონი დააკლეს მომხმარებლებს ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, საქარხნო, გლდანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყვარლის, ახმეტის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, ამბროლაურის, მესტიის რაიონებმა. აფხაზეთმა გეგმას დააკლო 2 ათასი, აჭარამ — 950, სამხრეთ ოსეთმა — 430 ტონა მეორეული ლითონი.

ძალიან შეასუსტეს მუშაობა ამ მხრივ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სახმშენის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების ორგანიზაციებმა, „საქჰიდროენერგომშენმა“, ჩარხმშენებლის საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის ელექტროშემადუღებელი მოწყობილობის, ბათუმის ელექტრომექანიკურმა ქარხნებმა, „თბილისგვირაბმშენმა“, გეოლოგიის სამმართველომ, თბილისის საქალაქო საბჭოს ორგანიზაციებმა.

იყო დრო, როცა ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეები ჯართის ჩაბარებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ახლა მათ რატომღაც სრულიად დათმეს პოზიციები და ვერ უზრუნველყვეს 3584 ტონა ლითონის ჩაბარება. ასევე უნდა ითქვას რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებზეც. მათ 1822 ტონა ლითონი დააკლეს სახელმწიფოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, თბილისის ლენინის, პირველი მაისის, კიროვის საქარხნო რაიონებისა და ქ. რუსთავის კომკავშირულ ორგანიზაციებს ეხებათ.

საფრთხის წინაშეა ოქტომბრის გეგმის შესრულებაც. ამ თვეში სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 37300 ტონა ლითონი. დღეისათვის კი ჩაბარებულია მხოლოდ 14 ათასი ტონა.

არადა, ხუთი ნოემბრისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყველა აღმასკომმა უნდა მოახსენოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმის თაობაზე, თუ რა იღონეს ჯართის დამზადების ოქტომბრისა და მთლიანად ათი თვის გეგმის შესრულებისათვის.

გაზეთ „კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

სახალხო მეურნეობა: პრობლემები, პერსპექტივა

ნუ ვაყოვნებთ სიახლეთა დანერგვას

სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის დამახასიათებელია უდიდესი უთანაბრობა და კონტრასტულობა. ერთი მხრივ — დიდი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის ზოგიერთ დარგში, ხოლო მეორე მხრივ — ასევე მრავალ დარგში მეცნიერული და ტექნოლოგიური ჩამორჩენა, რაც დღევანდელი წარმოდგენით ეწინააღმდეგება საღ აზრს.

ამას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მაგრამ მთავარი მათ შორის მეურნეობრიობის მექანიზმია. ეს მექანიზმი ისე უნდა მოქმედებდეს, რომ ნებისმიერ კოლექტივს აღუძრას სურვილი მუდმივად ეძიოს სიახლის დანერგვის გზები, შეუძლებელი გახადოს მატერიალური კეთილდღეობა მეცნიერებისა და ტექნიკის აუთვისებლად. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ იგრძნობა არსებითი გარდატეხა მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის დაჩქარებაში.

როგორც ცნობილია, ახლა „ბ“ ჯგუფის პროდუქციის გამოშვება უსწრებს და მომავალ ხუთწლედში კიდევ უფრო მეტად გაუსწრებს „ა“ ჯგუფის პროდუქციის გამოშვებას. ეს უკვე ფაქტია, ამაზე მეტყველებენ მიმდინარე წლის მაჩვენებლები და საგაისოდ ნავარაუდევი მონაცემები. მართალია, საქონლის სიუხვე ჯერ არ გვიგრძვნია, მაგრამ, ალბათ, მალე საქმეს თავი დაედგმება.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროს განახლებასა და ინტენსიფიკაციაში საკვანძო როლი მანქანათმშენებლობას განეკუთვნება. არაერთხელ თქმულა, რომ მანქანათმშენებლობის კომპლექსის დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე აყვანა უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანაა. მანქანათმშენებლობის განუვითარებლად წარმოუდგენელია იგივე სახალხო მოხმარების საქონლით ბაზრის მთლიანი უზრუნველყოფა.

მრეწველობის მხოლოდ ამ დარგს შესწევს უნარი დაამზადოს ასობით სახეობის ურთულესი მოხმარების საგანი. ამიტომ, მძიმე ინდუსტრიის ყველა დარგთან შედარებით მანქანათმშენებლობის განვითარებას განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება. იგი საწარმოო აპარატის სწრაფი განახლების, მეცნიერული იდეების მატერიალიზაციის, ეროვნული შემოსავლის ზრდის სტაბილური ტემპის მიღწევის, სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია. მანქანათმშენებლობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, უწინარესად კი, ცხადია, თვით ამ და მომიჯნავე დარგების შრომითმა კოლექტივებმა.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის დაჩქარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოდერნიზაციის პროგრამა. და იგი უთუოდ სრულად უნდა განხორციელდეს.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მანქანათმშენებლობის კომპლექსში გრძელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა. საანგარიშო პერიოდში ამ კომპლექსმა დაამზადა 89,7 მილიონი მანეთის ისეთი პროდუქცია, რომელიც პირველად არის ათვისებული საბჭოთა კავშირში. ეს 37,5 მილიონი მანეთით, ანუ 71,8 პროცენტით აღემატება სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებულს.

ლაპარაკია ქვეყანაში პირველად ათვისებულ პროდუქციაზე, საერთოდ კი მანქანათსაშენებელმა კომპლექსმა მთლიანად, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, პროდუქციის განახლების მაჩვენებელი გაზარდა 3,2 პროცენტით. კომპლექსის 29 საწარმოდან და გაერთიანებიდან პროდუქციის განახლება მიმდინარეობდა 21-ში, რომელთაგანაც დავალებას თავი ვერ გაართვა შვიდმა და ვერ უზრუნველყო სახელმწიფო შეკვეთით ნავარაუდევი 1,9 მილიონი მანეთის ნაწარმის გამოშვება.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში ვერც უმნიშვნელოვანესი სახალხო სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის გამოშვების მხრივ არის საქმე მთლად კარგად. გამოშვებულია 296,3 მილიონი მანეთის ასეთი პროდუქცია, რაც შეკვეთით გათვალისწინებულზე 5,7, ხოლო შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,3 პროცენტით ნაკლებია. ჩამორჩნენ ამ მხრივ „საქელექტრომანქანისა“ და „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ საწარმოო გაერთიანებები, „დილას“, „ელვასა“ და „საქსოფლმანქანის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში პირველად ათვისებული პროდუქცია ზოგიერთმა მანქანათსაშენებელმა საწარმომ სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებულზე მეტი დაამზადა. „საქელექტროშედუღების“ სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, ასეთი პროდუქციის წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 3,1-ის ნაცვლად შეადგინა 44,5 პროცენტი, ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში შესაბამისად — 11,2 და 24,3 პროცენტი, ფოთის ელექტროაპარატის ქარხანაში — 6,5 და 11,3 პროცენტი, ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხანაში — 15,1 და 55,7 პროცენტი, „ელმავალმშენის“ საწარმოო გაერთიანებაში — 17,3 და 25,4 პროცენტი. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით „ავტომატმრეწვის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისა და ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის მისამართით.

ცხრა თვეში დარგში დაინერგა 15 სამრეწველო რობოტი. მაგრამ ეს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ხუთი პროცენტით ნაკლებია. დაინერგა აგრეთვე 15 ლითონსაჭრელი პროგრამული მართვის ჩარხი, თუმცაღა, შარშან ამ დროს ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ახლანდელს. ამოქმედდა ერთი ეგრეთწოდებული დამმუშავებელი ცენტრი.

მიმდინარე წლის პუბლიკაციებში არაერთხელ გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ მანქანათსაშენებელი კომპლექსის ქარხნები საწარმოო სიმძლავრეებს. ამიტომაც ამ საკითხს ახლა დაწვრილებით აღარ შევეხებით. ერთს კი აღვნიშნავთ: იქ, სადაც გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის განახლების გეგმებს, საწარმოო სიმძლავრეებსაც მნიშვნელოვნად უკეთ იყენებენ. მათ შორის გახლავთ ზემოხსენებული იგივე „საქკაბელისა“ და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნები, „საქელექტროშედუღების“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

ცხადია, მანქანათმშენებლობის მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საშუალებებით, მაგრამ მას უშუალოდ აქვს დავალებული აგრეთვე მკვეთრად გაზარდოს თვით სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება.

მიღებულია გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოკლე დროში შეიქმნას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების თანამედროვე მძლავრი ინდუსტრია. იგულისხმება არა მარტო მსუბუქი მრეწველობა, არამედ თავდაცვითი ქარხნებიც, მძიმე ინდუსტრიისა და უწინარეს ყოვლისა, მანქანათსაშენებელი საწარმოები, რომელთა წვლილი სამომხმარებლო საქონლის წარმოებასა და მიწოდებაში გადაჭრით უნდა გაიზარდოს. თანაც საქმე ეხება არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

ამავე დროს მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოები თავს ვერ ართმევენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შედარებით ისედაც მცირე გეგმას. ვინ იცის, რამდენჯერ თქმულა და კვლავ ვიმეორებთ: მრავალი საწარმო მანეთის ხელფასის ფონდზე იმდენად უმნიშვნელო საქონელს უშვებს, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. არადა, მანქანათმშენებლობის პოტენციური შესაძლებლობანი ამ მხრივ პირდაპირ განუსაზღვრელია. ამიტომაც განსაკუთრებით დაუშვებელია, როცა ეს საწარმოები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ცხრა თვის გეგმის შესრულებას „საქსოფლმანქანის“ საწარმოო გაერთიანებამ 1656 ათასი მანეთის, ხოლო ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ — 3287 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ამ მხრივ ზოგიერთი სხვა მანქანათსაშენებელი საწარმოც.

ახლა, როცა მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოები სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემოსავლის, მოგების ზრდას. ეს საჭიროა არა მარტო მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მისაცემად და სხვა სოციალური საკითხების მოსაგვარებლად, არამედ საწარმოო ფონდების გაფართოებისა და სრულყოფისათვის, ახალი ტექნოლოგიის შექმნისა და დანერგვისათვის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებისათვის. შემოსავლისა და მოგების ზრდას კი სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ხარისხიანი პროდუქციის დროულმა მიწოდებამ.

ამ მხრივ დღეს მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მანქანათმშენებლობის კომპლექსის არც თუ ცოტა საწარმო. ძალიან უჭირთ, მაგალითად, „საქელექტრომანქანისა“ და „საქსოფლმანქანის“ საწარმოო გაერთიანებებს. იანვარ-სექტემბერში პირველმა მათგანმა მომხმარებელი ვერ უზრუნველყო 2865 ათასი მანეთის, ხოლო მეორემ — 2634 ათასი მანეთის პროდუქციით. დავალიანებულია შემკვეთის წინაშე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაერთიანებაც.

დროულად მივხედოთ საქმეს, არ მივიჩნიოთ წვრილმანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი. საწარმოს საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს წარმოების ტექნიკური დონისა და ორგანიზაციის მუდმივ ამაღლებას, ტექნოლოგიური ციკლების სრულყოფას, მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, მის განახლებას, მომხმარებელთა მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას.

ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ უთუოდ შევასრულოთ ყველა ტექნიკური სიახლის დანერგვასთან, საიმედო პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული დავალებანი. მეოთხე კვარტალისა და მთლიანად მიმდინარე წლის პროგრამების რეალიზაციას ყველა ელოდება.

შოთა ამაშუკელი.

ლაპარაკით კი არა, კონკრეტული მოქმედებით



არიან ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი ურთულესი სიტუაციის პირობებშიც კი თავიანთი საქმის ერთგულები ყოველთვის რჩებიან, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ლაპარაკით კი არა, კონკრეტული მოქმედებით ამტკიცებენ თავიანთ კაცურკაცობას.

ერთ-ერთი მათგანია თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების ამწყობი ზეინკალი სიმონ გომართელი. იგი თავის სამუშაო ადგილზე მნიშვნელოვნად უსწრებს დროს, ყველაფერს საიმედოდ აკეთებს.

სურათზე: სიმონ გომართელი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

პარტიული ცხოვრების ქრონიკა

თათბირ-სემინარი მსჯელობს

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის სამტრედიის და ლანჩხუთის რაიონულ კომიტეტებში გაიმართა პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი, რომლის მონაწილეებმა იმსჯელეს პარტიულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის, საწევრო პარტიული შესატანის აღრიცხვისა და ანგარიშების მდგომარეობაზე. აგრეთვე მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის წევრების ინფორმაციები, თუ როგორ ასრულებენ ისინი დავალებებს.

განხილული საკითხების გამო მოხსენებებით და სიტყვებით გამოვიდნენ სამტრედიის და ლანჩხუთის პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები ჯ. ტუღუში და ვ. ქორიძე, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. ხელაძე, სარევიზიო კომისიის წევრები: დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანი ვ. ახობაძე, საქენერგოს რაიონული განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. რუხაძე, ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. კვიჟიძე, ლესის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ტუღუში, № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ჯ. წილოსანი, გვიმბალაურის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ც. ხელაძე.

თათბირ-სემინარზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფილიპე მახარაძე.

ნ. მოდებაძე.

თანამშრომლობა

„ვეძებთ საქართველოში საიმედო პარტნიორს“

„ჩაცმულობის მიხედვით ხვდებიან, ჭკუის მიხედვით აცილებენ“. არავინ იცის, აქვს თუ არა ეკვივალენტი ამ ძველ სიბრძნეს თურქულ ენაში, მაგრამ მისი აზრი ნამდვილად შეითვისეს ამ ქვეყნის მემოდელეებმა და მკერავებმა, რომლებმაც თბილისელთა სამსჯავროზე წარმოადგინეს თურქული ფირმის „სერა ტექსტილის“ ტანსაცმლის კოლექცია.

ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ელეგანტური კაბები, კოსტიუმები, შორტები, პალტოები, კურტაკები საფირმო ნიშნით „სერა ტექსტილი“ — სულაც არ არის სრული ნუსხა იმისა, რასაც უჩვენებდნენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდისა და ტანსაცმლის კულტურის ცენტრის მანეკენები. ტანსაცმლის მოდელების ჩვენება, რომელიც გაიმართა საქართველოს რესპუბლიკური საგარეო-სავაჭრო გაერთიანების „საქიმპექსის“ ხელშეწყობით, მოწოდებულია მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის მუშაკებს გააცნოს თურქული ფირმის შესაძლებლობანი.

რას გვპირდება ეს? ასეთი კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა ფირმის პრეზიდენტს ცაგიფ ხარ სანს.

—საქმე ის არის, — თქვა მან, — რომ საქართველოში ჩვენ საიმედო პარტნიორს ვეძებთ გვწამს რომ გამოვნახავთ თანამშრომლობის ურთიერთხელსაყრელ ვარიანტებს არა მარტო ვაჭრობის თვალსაზრისით, არამედ ერთობლივი საწარმოების შექმნაშიც. ჩვენ უკვე გავეცანით თქვენი სამრეწველო საწარმოების შესაძლებლობებს და, უნდა გითხრათ, დიდ შეფასებას ვაძლევთ მათ. ვფიქრობთ თუ გავაერთიანებთ ჩვენსა და თქვენს ძალისხმევას, დიდ წარმატებებს მივაღწევთ.

— არის თუ არა საბჭოთა კავშირი თქვენი დიდი ხნის პარტნიორი, ანდა ჩვენი ბაზარი — ახალი თქვენი ფირმისათვის?

— ფირმა „სერა-ტექსტილის“ წლიური საქონელბრუნვა 50-60 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან საბჭოთა კავშირის წილად მოდის დაახლოებით ორმოცი პროცენტი. ასე რომ, ჩვენი კავშირურთიერთობა შეიძლება ითქვას, ტრადიციულია.

— შესაძლებელია თუ არა ბარტერული გარიგებანი საქართველოსთან, თუ თქვენ მხოლოდ იმის იმედი გაქვთ, რომ რესპუბლიკა დადებს რა გარიგებას, გადაიხდის ვალუტით?

— უვალუტო გაცვლა გამორიცხული არ არის. საჭიროა მხოლოდ გამოინახოს ურთიერთხელსაყრელი ვარიანტები. სწორედ ამისთვის ჩამოვედით საქართველოში. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

იმპორტულზე ხელს ითბობენ

სურსათისა და მთელი რიგი სამრეწველო საქონლის ახლანდელი მწვავე დეფიციტის პირობებში, როცა სახელმწიფო ცდილობს გამონახოს საშუალებანი, რათა საზღვარგარეთის ქვეყნებში შეძენილით ერთგვარად მაინც გააუმჯობესოს მდგომარეობა, იმპორტული საქონლის დატაცებისა და გაფუჭების ფაქტების საბოლოო აღკვეთისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არ იძლევა საგრძნობ შედეგებს. ეს ნათლად დაადასტურა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს მუშათა კონტროლის მიერ ტრანსპორტირებისა და შენახვისას იმპორტული სასურსათო და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის დაცვის მდგომარეობის ერთობლივმა შემოწმებამ.

სამწუხაროდ, იმპორტული საქონლის დატაცების შემთხვევები კი არ მცირდება, მატულობს. თუ 1988 წელს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ტრანსპორტზე რეგისტრირებულია 221 ათასი მანეთის იმპორტული ტვირთების დატაცების 13 ფაქტი, წლევანდელ რვა თვეში უკვე რეგისტრირებული იყო 18 ფაქტი. დანაკარგის ღირებულება კი 247 ათასი მანეთია. ასეთი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის საქართველოს შესაბამისი სამსახურები უხეშად არღვევენ სადირექტივო ორგანოების მითითებებს ლოკომოტივისა და გასამხედროებული დაცვის მეთვალყურეობის გარეშე სატვირთო შემადგენლობების დატოვების დაუშვებლობის შესახებ. აი შედეგიც: შარშან და წლევანდელ 8 თვეში დატაცებათა 14 შემთხვევა იმ შემადგენლობებზე მოხდა, რომლებიც ხანგრძლივი დროით დაცვისა და ლოკომოტივის გარეშე იყო მიტოვებული.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა თბილისის საკვანძო, სამტრედიისა და ბათუმის რკინიგზის სადგურებში შეიქმნა. მარტო წლეულს 8 თვეში იმპორტული ტვირთის დაუცველობის გამო შესაბამისად 19.400, 1700 და 1100 მანეთი იზარალეს, საერთოდ, რკინიგზის თბილისის განყოფილების ზარალი 20900 მანეთია, სამტრედიის განყოფილებისა კი — 5600 მანეთი.

იმპორტულ ტვირთს სათანადოდ ვერ იცავენ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებშიც. სწორედ მათი დაუცველობისათვის პირველი 10 ათასი მანეთით დაჯარიმდა, მეორე კი — 5600 მანეთით.

შემოწმებამ საზღვარგარეთ შესყიდული სახალხო მოხმარების საქონლის უყაირათო შენახვის ფაქტები გამოავლინა რესპუბლიკური საბითუმო გაერთიანებების „საქქსოვილტანსაცმელვაჭრობისა“ და „საქბითუმსურსათვაჭრობის“ ობიექტებზე, ხაშურის ქალაქვაჭრობასა და „ცეკავშირის“ წნორის სარაიონთაშორისო ბაზაში, სადაც იმპორტული წარმოების საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი სტელაჟებისა და ლატანმორების სიმცირის გამო იატაკზეა დაყრილი შეუფუთავად სასაქონლო მეზობლობისა და შენახვის ტემპერატურულ-ტენიანობის რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევით.

იმპორტული საქონლის დაცვის პირობების უზრუნველყოფის საქმეში შექმნილი მდგომარეობა ხშირად იწვევს მათი სასაქონლო იერსახის დაკარგვასა და გაფუჭებას. მაგალითად, „საქბითუმსურსათვაჭრობის“ თბილისის ბაზის საწყობში გამჟღავნდა შენახვის წესების დარღვევის გამო სასაქონლო იერსახედაკარგული 240 ბოთლი იმპორტული წარმოების ფორთოხლის წვენი. ხაშურის ქალაქვაჭრობის სავაჭრო ქსელში და საწყობებში კი ინახებოდა ნაწილობრივ სასაქონლო იერსახე დაკარგული 84 ათასი მანეთის სხვადასხვა იმპორტული საქონელი.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სათანადო ზომებს არ ღებულობენ სახალხო მოხმარების იმპორტული საქონლის დატაცებისა და გაფუჭების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის დროული ანაზღაურებისათვის. მაგალითად, „საქბითუმსურსათვაჭრობის“ თბილისის ბაზაში ყოფილ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ერიცხება 218 ათასი მანეთის დავალიანება 1984 წელს დატაცებული ყავისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში დამნაშავემ აანაზღაურა მხოლოდ 2 ათასი მანეთი.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა იმპორტული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით მიღების მოქმედი წესის, ასევე სარეკლამაციო აქტების გაფორმების ვადების დაცვას. მაგალითად, გაერთიანება „საქბითუმსურსათვაჭრობის“ თბილისის ბაზაში დღემდე ინახება რეალიზაციისათვის გამოუსადეგარი 231 ათასი მანეთის იმპორტული წარმოების 16 ათასი ქილა შავი ზეთისხილი, რომლებიც ბაზაში ჯერ კიდევ 1982 წელს მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზაციისათვის მათი უვარგისობის ფაქტი ტოქსიკური მიკროორგანიზმების მაღალი შემცველობის გამო ბაზაში პროდუქტის მიღებისთანავე დადგინდა.

შემოწმებით დადგინდა, რომ შემოწმებული სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მხრივ სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი სუსტი კონტროლითა და დაბალი მომთხოვნელობით კარგად სარგებლობენ მათი ხელქვეითები. სწორედ ამითაა გამოწვეული იმპორტული სახალხო მოხმარების საქონლის დანაკლისებისა და დატაცებების, საწყობებისა და ბაზებიდან მათი უკანონო გაცემის ფაქტები.

აი ერთი მაგალითი. ხაშურის ქალაქვაჭრობის დირექტორის თ. გავნიძის მხრივ ხელმიშვებულობამ გამოიწვია 10,2 ათასი მანეთის ღირებულების 11,4 ტონა იმპორტული შაქრის ფხვნილის დანაკლისის ფაქტები.

არც ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველოს სასურსათო საქონლის დაფასოების წარმოების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ზაკუტაშვილი იჩენს სათანადო მომთხოვნელობას იმპორტული პროდუქციის დამტაცებლებისადმი, და აი შედეგიც: 4 ობიექტზე ჩატარდა იმპორტული წარმოების დაფასოებული შაქრის ფხვნილის საკონტროლო აწონვა. გამოვლინდა, რომ [illegible] თანახმად [illegible] ტონა პროდუქციის ნაცვლად ფაქტობრივად შეზიდული იქნა 1922 და 1888 კილოგრამი, ანუ აღნიშნული პროდუქციის ყოველ დაფასოებულ კილოგრამს შესაბამისად საშუალოდ 39 და 56 გრამი აკლდა.

რესპუბლიკური საბითუმო გაერთიანება „საქბითუმსურსათვაჭრობის“ დირექტორის ძ. ხურციძის მხრივ მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად თამბაქოს ნაწარმის საწყობში მოხდა 5,9 ათასი მანეთის იმპორტული სიგარეტების უკანონო რეალიზაცია. აქვე 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გაჭიანურდა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის 200 ათასი მანეთის იმპორტული თამბაქოს ნაწარმის განაწილება. რესპუბლიკური საბითუმო გაერთიანება „საქქსოვილტანსაცმელვაჭრობის“ (დირექტორის მოადგილე — ლ. კარტოზია) ხელმძღვანელობის მხრივ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო გაერთიანებაში უხეშად ირღვევა სსრკ ვაჭრობის სამინისტროს 1989 წლის 31 მარტის მითითება იმპორტული დეფიციტური საქონლის (მოძრაობის) აღრიცხვის წესის შესახებ. მაგალითად, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, სასაწყობო მეურნეობაში არსებული დოკუმენტების თანახმად, გაერთიანების № 1 საწყობში ირიცხებოდა 77 ათასი მანეთის დეფიციტური სამკერვალო ნაწარმი, ჩატარებული შემოწმებით კი აქ 198 ათასი მანეთის პროდუქცია აღმოჩნდა.

დადგინდა, რომ 121 ათასი მანეთის დეფიციტური საქონელი შესაბამისი დოკუმენტების თანახმად სავაჭრო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 სექტემბერს უნდა ყოფილიყო შეზიდული. იმპორტული საქონლის გაცემის აღრიცხვის ასეთი მანკიერი პრაქტიკა სხვადასხვა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

იმპორტული საქონლის დაცვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ წნორის სარაიონთაშორისო ბაზაშიც (დირექტორის მოადგილე — მ. ცაბუტაშვილი). შემოწმებისას 18 კილოგრამი არგენტინული თევზეულისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოების 48 ქილა ხორცის კონსერვის დანაკლისი გამოვლინდა.

დიახ, ასეთი უხეში დარღვევები გამოავლინა ამ შემოწმებამ, რომელიც დღეს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდება.

ზამთარი კარზეა მომდგარი

სულ ცოტა ხანიც და ზამთარი „ძუ მგელივით მოგვიხტება“. მერედა მზადა ვართ მის შესახვედრად, კიდევ ხომ არ განმეორდება წარსულის გაკვეთილები, როცა გაყინული, უწყლოდ, უსინათლოდ დარჩენილი სახლების მობინადრეთა საჩივრებს ბოლო არ უჩანდა?

თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა გადაწყვიტა დროზე შეეხსენებინა დედაქალაქის შესაბამისი სამსახურების საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მომზადების აუცილებლობა, გამოევლინებინა არსებული ხარვეზები და ეზრუნა მათ აღმოსაფხვრელად.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს, თბილისის ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს ადრე დაშვებული დარღვევა-ნაკლოვანებებიდან, და ამჯერად ისინი სრული პასუხისმგებლობით შეუდგნენ გათბობის სეზონისათვის მზადებას. ასეთებს შორის დასახელებულია თვით თბომეურნეობის სამმართველოს სამსახურები, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საწარმო-დაწესებულება, სადაც სამუშაოები გრაფიკის მიხედვით ტარდება და იმედია, ისინი დადგენილ ვადებში დამთავრდება.

მაგრამ მასობრივმა შემოწმებამ ისიც ცხადყო, რომ ზოგიერთი საწარმოსა თუ ორგანიზაციის ზამთრის სეზონისათვის მზადება ჩამორჩება სამუშაო გეგმას, შესრულებული სამუშაო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, არ არის უზრუნველყოფილი საშენი მასალებითა და მოწყობილობით და ა. შ.

მაგალითად, ნელი ტემპით სრულდება ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოები თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში (უფროსი — თ. მეგრელიძე). შესრულებულია შიდა სისტემების სამუშაოების გეგმის მხოლოდ 35 პროცენტი. მცირე სიმძლავრის შესაცვლელი 24 ქვაბიდან მხოლოდ 3 შეცვალეს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანდაცვის სამმართველოს სისტემაში (უფროსის მოადგილე — გ. მალანია) გეგმით გათვალისწინებულია გათბობის სისტემის რემონტი 31 ობიექტზე, შემოწმების დღისათვის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო მხოლოდ 18 ობიექტზე.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მთ. ინჟინერი — ტ. მურუსიძე) ბიოლოგიის ფაკულტეტის კორპუსის სახურავისა და გათბობის სისტემის კაპიტალური რემონტი. არ იყო შესრულებული ბრტყელი გადახურვის მოსამზადებელი სამუშაოები, ზედაპირის ცემენტიზაცია. არაა დაცული ზედაპირის სათანადო სისწორე, არ იყო გადაკრული თუნუქი პარაპეტებზე და ა. შ. შიდა თბომომარაგების სისტემაში ელევატორებზე ლიკვიდირებულია სატალახეები, ხოლო რადიატორებზე — ზღუდარები. გაფუჭებულია გათბობის სისტემის თბორეგულირების საშუალებანი. არ შედგენილა რემონტის შემდეგ შენობის გათბობის სისტემის დაწნეხის მეთოდით შემოწმების აქტი.

არადამაკმაყოფილებელი საექსპლოატაციო მდგომარეობაა სტუდქალაქის № 2, 2-ა, 4, 4-ა, 5 კორპუსებში (სტუდქალაქის სამმართველოს უფროსი — ც. რეხვიაშვილი). დაზიანებულია საშხაპე, პირსაბანი, საერთო სარგებლობის ოთახები, მათი გარკვეული ნაწილი გაუქმებულია, ჩახერგილია სარდაფები და სხვენები, კარფანჯარა შესამინია. სახურავიდან ჩამოდის წყალი, როგორც № 4 კორპუსის ბინადართა განცხადებიდან ირკვევა, ასეთი მდგომარეობა წლების მანძილზე გრძელდება.

კამვოლური დართვის ფაბრიკაში (მთ. ინჟინერი — ი. ჯანჯალია) საჭიროა ბოილერებისა და მილგაყვანილობის დათბუნება, ორ საწარმოო საამქროში ბრტყელი გადახურვისა და სანიტარიული კვანძების შეკეთება, ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტროქვესადგურების ინვენტარის მომზადება, საწარმოო კორპუსის ფანჯრების შემინვა.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ (მთ. ინჟინერი — ა. ჯანაშია) საუწყებო საბავშვო ბაღის ძველ შენობაში შესაკეთებელი იყო გათბობის სისტემა, სახურავი, არ იყო შემინული ფანჯრები კულტურის სახლში. შესაკეთებელია სახურავი. გასამაგრებელია ბინები, გასაწმენდია რადიატორები, გამოსაცვლელია გათბობის სისტემის მილმიმყვანები.

დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე № 59-ა სახლში, რომელსაც ტრესტ „ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის“ ტრესტის საბინაო-კომუნალური განყოფილება ემსახურება (უფროსი — გ. კაჭლიშვილი) გათბობის მილები სხვენში შესაფუთი იყო, სახურავი — შესაღები, რადიატორები — შესაცვლელი, მართვის კვანძზე შესაკეთებელია საკვალთები, სადარბაზოს წინ შესაკეთებელია გზა, ჩასასმელია ფანჯრის მინები. ტრესტის სამუშაოთა გეგმა-გრაფიკის მიხედვით ჩასატარებელია მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები აგრეთვე მშვიდობის გამზირზე № 10 სახლში და გურამიშვილის გამზირზე № 41 სახლში.

ყველაფერი მოწესრიგებული როდი აქვთ „თბილისმრეწვმშენის“ ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ბალანსზე მყოფ, თემქის დასახლების II მიკრორაიონის II კვარტალის 36-ა კორპუსში.

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ (საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსი — ი. კანდელაკი) 361 მართვის კვანძიდან 70 პროცენტი გაფუჭებულია, თანაც 1988-89 წლებში გაერთიანებამ ამ განყოფილებას მხოლოდ 13 ცალი კვანძი გამოუყო. გარდა ამისა, სეზონის დადგომამდე აუცილებელია 250 მმ დიამეტრის 160 გრძივი მეტრი ამორტიზებული მილის შეცვლა გურამიშვილის ქ. № 26, 27, 33 და 37 სახლებში.

ბუაჩიძის ქ. 14-ა, 16, 18 სახლებში დასათბუნებელია მართვის კვანძები და გარე თბოქსელი. გათბობის სეზონამდე უნდა შეიცვალოს ბოილერი, რომელიც ემსახურება გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე № 33 და 33-ბ სახლებს.

კომიტეტმა შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მზადებაში ხარვეზებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ინჟინერს თ. მურუსიძეს, სტუდქალაქის უფროსს ც. რეხვიაშვილსა და მის მოადგილეს ც. შათირიშვილს გამოუცხადა საყვედური.

ზემოაღნიშნული შემოწმებიდან თვეზე მეტი გავიდა, ეს საკმარისი ვადაა როგორც გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოების დამთავრების, ისე ხარვეზების არსებითი გამოსწორებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობაზე მხოლოდ საბინაო მეურნეობის სამმართველომ, ფიზიკის ინსტიტუტმა და კამვოლური დართვის ფაბრიკამ აცნობა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს.

პირუტყვი რომ არ დაიმშეს

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მუდამ საშური საქმეა. მით უმეტეს ახლა, როცა სადაცაა ზამთარი კარს მოგვიაკუნებს. ეს კარგად იციან ხონის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმაც და სპეციალისტებმაც, მაგრამ ზოგიერთი ამისათვის სათანადოდ როდი ირჯება.

ჯერ ერთი, საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გაუტარებლობისა და მიწათმოქმედების საერთო დაბალი კულტურის გამო უკიდურესად მწირია საკვები კულტურების მოსავლიანობაც. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული მრავალწლოვანი ბალახების ნათესი ფართობების 40-45 პროცენტი ამორტიზებული და მცირე მოსავლიანია, თანაც მათი ფართობი დაგეგმილი 800 ჰექტარის ნაცვლად 284 ჰექტარია.

და მეორეც, ვინაიდან აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები დროზე არ ჩაატარეს, ფაქტობრივად განადგურებულია მრავალწლოვანი ბალახების ნათესები წულუკიძის, ივანდიდის, კუხის, დედალაურის, წითელვარსკვლავის და მათხოჯის კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის კომპლექსის, ახალბედისეულის, ახალშენისა და ქუტირის საბჭოთა მეურნეობებში.

ამიტომაც სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1012 ტონით ნაკლები სენაჟი დაემზადებინათ, ასევე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თივისა და ნამჯის წარმოებაშიც.

ნელი ტემპით დაიწყეს საკვების დამზადება და მნიშვნელოვნადაც ჩამორჩნენ ამ საქმეში მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში (დირექტორი — გ. ანდრიაძე). აქ ხშირად ირღვევა საკვებმომპოვებელ საიჯარო რგოლებსა და მეურნეობას შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნები, მეცხოველეობის ფერმა დროულად არ მარაგდება საჭირო რაოდენობის მწვანე მასით. სწორედ ამის გამოც გამოზამთრებისათვის დამზადებული 800 ტონა სენაჟიდან 350 ტონა უკვე დახარჯულია. ძალზე ცუდი მდგომარეობა შეიქმნა სილოსის დამზადების საქმეში. შემოწმებისას ნაცვლად 3225 ტონისა ჩადებულია მხოლოდ 1500 ტონა. ამ დროს კი აქ იშვიათი როდია სასილოსე მასის არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევები. მაგალითად, საკვებმომპოვებელმა საიჯარო რგოლმა (ხელმძღვანელი — კ. კორძაძე) ვერ უზრუნველყო მეცხოველეობის ფერმის გამოსაკვებად 598 ტონა მწვანე მასის შემოზიდვა, მეურნეობამ ამ მიზნისათვის სასილოსედ ჩასადები მასა დახარჯა და 8,7 ათასი მანეთიც იზარალა.

მათხოჯის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა (ყოფილი თავმჯდომარე — ე. ფიოლია) საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად დარღვეულია მეცხოველეობის საიჯარო რგოლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წვნიანი და უხეში საკვების მიყიდვის ვალდებულებები, რის გამოც საიჯარო რგოლმა (ხელმძღვანელი — ვ. ფაილოძე) არამიზნობრივად დახარჯა მწვანე მასა, და ნაცვლად 150 ტონა სენაჟისა და 900 ტონა სილოსისა, მხოლოდ 500 ტონა სილოსის დამზადება შეძლო. უფრო მეტიც, რგოლზე წლევანდელ 8 თვეში კოლმეურნეობის მხრიდან ხელშეკრულების შესაბამისად საკვების მიუწოდებლობისა და ცხოველთა ცუდი მოვლა-პატრონობით გამოწვეულმა ზარალმა 90 ათას მანეთს გადააჭარბა. პატარა ჯიხაიშის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — თ. ცაგარეიშვილი) საჭირო რაოდენობის საკვებასაღები მანქანა-იარაღების უქონლობის გამო 33 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მწვანე მასა დროულად ვერ აიღეს და 150 ტონა სენაჟის დამზადების შესაძლებლობა დაკარგეს.

პირუტყვის საკვების დამზადებისა და შენახვის საქმეში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების შესაბამისი სამსახურები ქმედით კონტროლს არ უწევენ საკვების დამზადების საქმეს.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა საკვების დამზადებაში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე და სათანადო ღონისძიებებიც დასახა.

ახლა მთავარია, ყველაფერი იღონონ, რათა დროულად აინაზღაურონ დანაკლისი, მოიმარაგონ საკმაო რაოდენობის საკვები, თორემ ზამთარში პირუტყვი დაიმშევათ და მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ოთარ მარჯანიშვილი,
ხონის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

თვალსაზრისი

ზღვარი ცდომილებისა

საზოგადოებრივი მეცნიერება დღეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმზე, რომელიც თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებს მიეძღვნა, ხაზგასმით აღინიშნა: „მეცნიერების, მისი პასუხისმგებლური წვლილის გარეშე, ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ და ვერაფერს ვერ გავარკვევთ". ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შინაგანად დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნასთან. თეორიული ფრონტის დაწინაურება კი მოითხოვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განსაკუთრებულ ძალისხმევას. სწორედ ამ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება წინამდებარე წერილში, რომელსაც სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებრიობას ვთავაზობთ იმ გულწრფელი სურვილითა და იმედით, რომ მოგვაწვდიან თავიანთ შეხედულებებსა და წინადადებებს ამ მეტად მტკივნეულ პრობლემებზე.

გარდაქმნის პირობებში საზოგადოებრივი ცნობიერების გააქტიურებამ წარსულის, აწმყოსა და მომავლის ახლებური გააზრების ლოგიკურ აუცილებლობამდე მიგვიყვანა. ათეული წლების მანძილზე პოლიტიკური აპათიით შეპყრობილმა საზოგადოებამ ერთბაშად იწყო გამოფხიზლება. მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრაში დღევანდელი ეტაპი მრავალფეროვანი, ზოგჯერ საპირისპირო შეხედულებებით ხასიათდება. ეს გარდაქმნის უმთავრესი შენაძენია და თავისთავად კარგია, რადგან ჭეშმარიტება აზრთა დაპირისპირებით მიიღწევა, მისი ოპტიმალური ფორმა კი პლურალიზმია.

მაგრამ დროსა და სივრცეში უსასრულო პლურალიზმი ისევე მცდარი და მავნეა, როგორც დიქტატი. ყოველი ამოცანის წარმატებით დაძლევა მოითხოვს გარკვეულ ეტაპზე კონსოლიდაციას, განსხვავებული აზრებიდან ერთიანი პლატფორმისაკენ მოძრაობას და კვლავ ასეთ ახალ ციკლს. ამის უმთავრესი პოლიტიკური პირობაა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო.

რაც შეეხება დაპირისპირებულ აზრს, ვფიქრობთ, იგი ამჟერად კონსტრუქციულ ხასიათს არსებითად მოკლებულია. ბევრია შეხედულება, ცოტაა აზრი. დიალოგი კი მოითხოვს კომპეტენტური აზრებით პაექრობას. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას სამწუხაროდ, ახასიათებს დაბალი პოლიტიკური კულტურა რომლის თავიდათავი სამოცდაათწლიანი ისტორიული პრაქტიკა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის სტაგნაციაა.

ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მაგრამ ჯერჯერობით სრულყოფილად ვერავინ ახსნა თეორიული ფრონტის ჩამორჩენის მიზეზები და აქედან გამომდინარე მისი დაძლევის გზები. შევეცდებით გამოვყოთ ზოგიერთი არსებითი მომენტი.

* * *

საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს წარსულის კრიტიკულ გააზრებას, თორემ აწმყოსა და მომავლის თეორიული ორიენტირი მოკლებული იქნება რაციონალურ მარცვალს.

ჩვენი თეორიის საფუძველია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. მარქსიზმი მსოფლიო ცივილიზაციის შარაგზის ლოგიკური გაგრძელებაა, ალტერნატიული მრავალფეროვნების შემოქმედებითი ათვისების შედეგია. ამ შარაგზის გააზრების ცდები სპორადული და უსისტემო იყო.

საბოლოოდ კი მარქსიზმი მოვწყვიტეთ საკაცობრიო აზროვნებას და ერთადერთ მეცნიერებად გამოვაცხადეთ. ყველაფერი გადავიყვანეთ ერთადერთის მიზანთროპიულ მდგომარეობაში. თეორიისადმი ჩვენს დამოკიდებულებას დააკლდა ისტორიზმი და ლოგიკურობა.

სიტყვით დიალექტიკას ყოველთვის ვაღიარებდით, როგორც მოძღვრებას ყოველმხრივი და წინააღმდეგობებით სავსე ისტორიული განვითარების შესახებ, საქმით კი ნებსით თუ უნებლიეთ მას ვივიწყებდით. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ან ყოველთვის კი, ან ყოველთვის არა. ასე მივედით მარქსიზმის დოგმატიზაციამდე.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდით არა მარტო საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონის გამო, არამედ იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებითაც, რომელშიც რევოლუციამ გაიმარჯვა.

მართვის სუბიექტისა და ობიექტის თანაფარდობა მოითხოვდა სუბიექტის მიერ ობიექტის ღრმა ცოდნას, რომლის მეთოდოლოგიური საფუძველია საზოგადოებრივი თეორია. განვლილი გზის ანალიზი გვიჩვენებს რომ ჩვენთან უპირატესად ხდებოდა მართვის სუბიექტის აბსოლუტიზაცია, რაც სუბიექტივიზმის ნაირსახეობით გამოიხატა. თეორია მოსწყდა სინამდვილეს და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში მართვის სუბიექტს დაექვემდებარა.

სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი იმ სამწუხარო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მეცნიერება მსახურის როლში აღმოჩნდა.

ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით ამგვარი მდგომარეობის დაძლევის აუცილებლობას და მოვითხოვდით თეორიის გადაქცევას პრაქტიკის სახელმძღვანელოდ. ამის ცდებს 50-იან წლებში მოჰყვა არსებულის მექანიკური უარყოფა. ამის შედეგი იყო ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის აღმოცენება. ისინი ძალაში დარჩნენ უძრაობის ეპოქაშიც. მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად შეუძლებლის შესაძლებლად გამოცხადება, ამის გამო თეორია მოსწყდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და სინამდვილეს. ე. ი. დიდი ხნის მანძილზე თვით მართვის სუბიექტი უგულებელყოფდა თეორიის მნიშვნელობას. გამოდის, რომ ამ ხნის მანძილზე საზოგადოებრივი მეცნიერებანი არსებითად არ ვითარდებოდა და ცალკეულ ხელმძღვანელთა, დიდი და პატარა კულტების პირად შეხედულებებსა და ინტერესებს ემსახურებოდა.

სამწუხაროა, რომ დღეს საზოგადოების ნაწილი არსებულ ნაკლოვანებებსა და დეფორმაციებს მარქსისტული მოძღვრების არამეცნიერულობით ხსნის. საკითხისადმი მეტაფიზიკურმა მიდგომამ წარმოშვა ტენდენცია ქვეყანაში დაბუდებული „ბოროტებანი" (ფარული ეკონომიკა ბიუროკრატიზმი, კარიერიზმი, კორუფცია და სხვა) საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის დაებრალებინათ. ჩვენი აზრით, უფრო დიდი ზიანი მოგვიტანა მარქსიზმისადმი დოგმატურმა და ფორმალურმა დამოკიდებულებამ, მისმა დამახინჯებამ. მით უმეტეს, რომ ყველას კარგად გვახსოვს: ახლო წარსულში უღირსნიც და დამნაშავენიც კი მარქსიზმის დროშას იყვნენ ამოფარებულნი. ამ საფუძველზე წარმოშობილი ატმოსფერო „ბებია ქალი" გახდა იმ ფსიქოლოგიური განწყობისა, რომელშიც ნებსით თუ უნებლიეთ სწორად ვერ შევაფასეთ მარქსიზმი, როგორც სამყაროს, საზოგადოების შეცნობისა და გარდაქმნის მეთოდი. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, თითქოს ხელოვნურად და გამიზნულად ხდებოდა თეორიის დოგმატიზაცია. ასეა თუ ისე, ძნელი წარმოსადგენია მარქსიზმის შესწავლის აუცილებლობის მოწოდებები და სინამდვილეში მისი მნიშვნელობის უარყოფა იმ ხელმძღვანელთაგანაც კი, რომლებსაც მისი ცოდნა პირველ რიგში ევალებოდათ; სიტყვით — საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრაქტიკული ღირებულების რეალიზაციის მოთხოვნა, საქმით კი საწინააღმდეგო მოქმედება. მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება სასურველი შეხედულების კლასიკოსთა ციტატებით დადასტურება კი არა, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე სინამდვილისაკენ მოძრაობაა.

საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც ამ ნეგატიურ კონსტრუქციას ეფუძნებოდა, დამახინჯებულად, ცალმხრივად ვითარდებოდა. ისტორიული პრაქტიკის გაკვეთილები კი გარდაუვალად მოითხოვს აწმყოს თეორიის ნახაზში წარსულის შეცდომათა გათვალისწინებას.

* * *

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე თეორიული ფრონტის დაწინაურება დასახული ამოცანების დაძლევის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. არსებითად კი ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა. საზოგადოებათმცოდნეობა ძირითადად ძველ ყალიბს არ გასცდენია. მიზანი იმ თვისებრიობაში გადასვლაა, რომელშიც იგი მაპროგნოზირებელი ფუნქციის შესრულებას შეძლებს. ეს საჭიროებს ისეთ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ გარდაქმნას, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრაქტიკულ ღირებულებას და უწყებრივ-ბიუროკრატიული მექანიზმისგან განთავისუფლებას. პრობლემა მაინც ის არის რომ ჯერჯერობით თავი ვერ დავაღწიეთ პარტიულობის ცალმხრივ და მცდარ გაგებას. აქედან გამომდინარეობს სამწუხარო პრაქტიკა: პარტიული დოკუმენტებით ვსაზღვრავთ მეცნიერული კვლევის მიმართულებებს, შინაარსსა და წინასწარ მოცემულ აპრიორულ დასკვნასაც. თეორიულ ფრონტს ფაქტობრივად კომენტატორის ფუნქცია რჩება. სინამდვილეში კი საზოგადოებრივი მეცნიერება უნდა ქმნიდეს პარტიული ხელმძღვანელობის თეორიულ საფუძველს, თორემ ჩვენს ისტორიაში ვაწყდებით ანომალიას: იყო იმდენი მარქსიზმი, რამდენიც გენერალური მდივანი და მისი ახლობლები. ასეთ პირობებში მეცნიერული ძიება ფორმალურია, ხოლო საზოგადოების მართვა სპონტანური. ერთი მხრივ, აუარებელი დადგენილებები და, მეორე მხრივ, არსებითად ისევ უძრაობა მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მდგომარეობის დაძლევისათვის სხვა სიღრმისეული ღონისძიებებია საჭირო. რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების პრაქტიკული ღირებულების რეალიზაცია არ ხდება.

ვიდრე მდგომარეობა ძველებურია საზოგადოებრივი მეცნიერება მხოლოდ კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. საჭიროა იგი ერთდროულად სინამდვილის ობიექტური კრიტიკის იარაღადაც ვაქციოთ. ამას კი ჯერჯერობით ჩვენთან ყურადღება არ ეთმობა. ცალკეულ პიროვნებათა და ცალკეულ ნაკლოვანებათა კრიტიკა თეორიის განვითარების საფუძველს ვერ შექმნის. აშკარაა მთლიანად ჩვენი საზოგადოების როგორც სოციალური სისტემის კრიტიკული ათვისების აუცილებლობა. სინამდვილისადმი თეორიის ასეთი დამოკიდებულებისათვის კი საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა.

ცნობილია რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის შინაარსსა და ხარისხს. ბოლო ხანს ამ მხრივ სამეცნიერო-პედაგოგიურ ინტელიგენციას სტუდენტური აუდიტორია გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს (მხედველობაში გვაქვს კონსტრუქციული მოთხოვნები და არა უსაფუძვლო კაპრიზები).

სრული პასუხისმგებლობით უნდა ვაღიაროთ რომ პროფესორ-მასწავლებლები ამ მხრივ ვალში ვართ სტუდენტობის წინაშე, რაც გარდაქმნის სირთულით, ძველი სტერეოტიპების სიცოცხლისუნარიანობითა და სხვა მსგავსი მოვლენებით აიხსნება. ამიტომ სასწავლო პროგრამის ხშირი ცვლილებებით, კათედრების შეერთება-განცალკევებით, მათი სახელწოდებების შეცვლით, კადრების გადაადგილება-შემცირებით და სხვა ზედაპირული ღონისძიებებით საქმეს ვერ ვუშველით.

სავსებით გამართლებულია განათლების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილება, ადგილებზე უმაღლესი სასწავლებლებისა და კათედრების დამოუკიდებლობის გაზრდისა და ზედმეტი მეურვეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ. მაგრამ საჭიროა მისი პრაქტიკული განხორციელებაც, რაც ყოველთვის არ ხდება. მაგალითად, შარშან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები იხილავდნენ პროგრამის ახალ პროექტს. მასში ბევრ სხვა საკითხთან ერთად შემოთავაზებული იყო მეცნიერული კომუნიზმის კათედრის ოთხი ალტერნატიული სახელწოდება. ჩვენ ავირჩიეთ — საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური თეორია. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო დაეთანხმა ჩვენს არჩევანს. მაგრამ საკავშირო სახალხო განათლების კომიტეტის ახალი ბრძანების თანახმად, კათედრას დაერქვა „თანამედროვე სოციალიზმის თეორიის პრობლემები". უფრო მეტიც, ვფიქრობთ, სახელწოდება ჯეროვნად არ არის მოფიქრებული. ჯერ ერთი თანამედროვე სოციალიზმის ასოცირება სხვადასხვაგვარი და დროში ცვალებადი შეიძლება იყოს, ე. ი. სათაურისათვის მდგრადობას მოკლებული. მეორე, რამდენად გამართლებულია კათედრას ეწოდოს თეორიის პრობლემები?! თანაც, როგორც ბრძანებიდან ჩანს, პროგრამაც და სათაურიც დროებითია.

საქმე რომ მხოლოდ სათაური იყოს, იქნებ ამდენ ლაპარაკადაც კი არ ღირდეს, მაგრამ გარკვეულად სათაურიც განსაზღვრავს საგნის და კათედრის მუშაობის მიმართულებას. თანამედროვე სოციალიზმის თეორიის პრობლემებით ხომ არ იზღუდება შესწავლის საგანი?!

გარდაქმნის პირობებში სწავლების დიაპაზონის გაფართოება მოითხოვს სტუდენტებს გავაცნოთ მსოფლიოს გამოჩენილი ფილოსოფოსების და მოაზროვნეების შეხედულებანი სამართლიან და ჰუმანურ საზოგადოებაზე, დასავლეთის სოციალისტური და არასოციალისტური თეორიები. აუცილებელია პროგრამაში აისახოს ქართველი მოაზროვნეების ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანის, სოლომონ დოდაშვილის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

ხოლო ერთადერთი მოძღვრების სწავლებამ, სამწუხაროდ საერთოდ სოციალურ-პოლიტიკური თეორიისაგან სტუდენტთა გაუცხოება გამოიწვია. ამ დროს კი პარადოქსს ვხვდებით.

დასავლეთის სტუდენტი ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს მარქსიზმისადმი. ცნობილია რომ სტონჰილის კოლეჯის პრეზიდენტმა ჩვენს სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტს სტუდენტების გაცვლა შესთავაზა, ვინაიდან მისი კოლეჯის სტუდენტთა საზოგადოება გამოდის კომუნისტური თეორიების მომხრედ. არაფერს ვამბობთ იმ სტუდენტთა ფაქტობრივი ცოდნის ხარისხზე. ჩვენი საზოგადოების ისტორიას კი, სხვათა შორის, ერთი უკიდურესობიდან მეორეში მკვეთრი მონაცვლეობის გაუმართლებელი მაგალითებიც მოეპოვება და არა მარტო ერთ რომელიმე სფეროში: სტალინიზმი — ანტისტალინიზმი, ცენტრალიზაცია — დეცენტრალიზაცია; ისტორიულ პიროვნებათა შეფასებაშიც ან აბსოლუტურად დადებითი, ან უარყოფითი დამოკიდებულება შეიმჩნევა. ვერ იქნა და ვერ მოვძებნეთ ობიექტური შეფასებანი, რაც საზოგადოებრივი ცნობიერების მაღალ დონეზე არ მიუთითებს. შეცდომა იყო ამ ხნის მანძილზე ყველა სოციალური თეორიის „მოსპობა" და მხოლოდ მარქსიზმის „გაბატონება". შეცდომა იქნება მარქსიზმის მექანიკური უარყოფაც, არადა, აქა-იქ უკვე გაისმის ასეთი მოთხოვნა. მარქსიზმის ცალკეულ დებულებათა აღიარება და მოხსნა, ამ მოძღვრებაზე უარის თქმა კი არა, მისი განვითარების უპირველესი პირობაა. აბსოლუტური და სახეუცვლელი ჭეშმარიტება შემეცნებაში ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს აბსოლუტური მცდარობა. განვითარება ახლისაგან ძველის უარყოფაა. ამ აზრით სახელმძღვანელო მნიშვნელობისაა ილია ჭავჭავაძის შენიშვნა: „რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მოუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ისე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორღა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არ ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი... ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელზე ჭკვიანები ვართ... ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ დროინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია ავსცდენოდით ცთომილებას, რომელსაც დღეს ასე თავმოწონებით დავსცინით".

მაშასადამე, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დიალექტიკური შემეცნების გზით დღეს ცნობიერების ახალ საფეხურზე, ახალ თეორიულ სისტემაზე გასვლის ობიექტური აუცილებლობის წინაშე ვდგავართ.

ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენი თეორიული ფრონტის არა ზედაპირულ, არამედ თვისებრივ გარდაქმნას. ამის უწინარესი პირობაა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სტატუსის ძირეული შეცვლა.

* * *

დღეს აღარ კმარა დამოუკიდებელი და სამართლიანი საზოგადოების მხოლოდ ისტორიული აუცილებლობის დასაბუთება (ამის შემეცნება ჩვენ უკვე ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებით დავადასტურეთ).

აუცილებლობა ყოველ კონკრეტულ მომენტში მრავალსახოვან, ზოგჯერ კი ურთიერთგანსხვავებულ შესაძლებლობას შეიცავს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ შესაძლებლობათა ზუსტი და დროული შემეცნება. ამით განისაზღვრება პრაქტიკული მოძრაობის მიმართულება, ფორმები, მეთოდები და ა. შ. ამიტომ გვჭირდება თეორიული აზროვნების მაღალ საფეხურზე აყვანა, ჭეშმარიტად მეცნიერული სოციალ-პოლიტიკური თეორია.

დღესდღეობით საზოგადოების დიფერენცირებული ცალკეული მხარეების შესწავლა ხდება. ეს ცალ-ცალკე შესასწავლი კი ობიექტურად მთლიანობაშია მოცემული. თუ არ მოხდა ამ ცალკეულთა მთლიანობაში შესწავლა, შეუძლებელი იქნება როგორც თეორიული მოდელირება, ისე საზოგადოების მეცნიერული მართვა. ჩვენ გვესახება, რომ ეს ფუნქცია უნდა განახორციელოს პოლიტოლოგიურმა მეცნიერებამ, რომლის არსებობა ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხნის ფაქტია, ისევე როგორც ამ მიმართულებით ჩვენი ჩამორჩენა.

მეცნიერული თეორიისა და ძლიერი პოლიტიკის რეალიზაცია შესაბამის კადრებს საჭიროებს. ჩვენს სინამდვილეში მათი დეფიციტი აშკარაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ მოგვეპოვება პოლიტიკოსთა სპეციალიზაციის ცენტრი. არსებული კადრების ერთბაშად გარდაქმნა უაღრესად რთულია და ხანგრძლივ დროს მოითხოვს. მათი მომზადების ამჟამინდელი სისტემა კი ძირეულად მოძველდა.

პოლიტიკური მოღვაწეობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კანონზომიერი შედეგია. თუ სხვა დარგისათვის ვამზადებთ სპეციალისტებს, განა აუცილებელი არ არის იგივეს ვშვრებოდეთ პოლიტიკისათვის?! პრაქტიკაში კი ვაწყდებით კურიოზულ შემთხვევებს: პოლიტიკოსებს ყველა, მიუხედავად სპეციალობის, განათლებისა და უნარისა, ვისაც კი, საკმაოდ გასაგები თუ აუხსნელი მოტივებით, ამის სურვილი უჩნდება. გასაკვირი ის როდია, რომ ამის გამო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვაწყდებით დეფორმაციებს, გასაკვირი უფრო ის არის, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს და ეს მიჩნეულია ნორმალურ მოვლენად. საზოგადოების პოლიტიზაცია მისასალმებელი და საჭიროა, მაგრამ პოლიტიკა სპეციალისტებს, პროფესიულ კადრებს მოითხოვს. ვფიქრობთ, პოლიტოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება მოგვცემდა ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობასაც.

მომავალი ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციის, ამოცანებისა და პრაქტიკულ-პოლიტიკური ღირებულების ამ მოკლე მონახაზით სამსჯავროზე გამოგვაქვს მისი დაარსების წინადადება. გვესმის თუ რაოდენ რთული და პრობლემურია ამ აზრის პრაქტიკული განხორციელება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი დაკავშირებულია მატერიალურ და საკადრო ბაზასთან. მაგრამ, ვიმედოვნებთ, მისი მნიშვნელობის გასიგრძეგანება გვაპოვნინებს გამოსავალს. ასეა თუ ისე, მიგვაჩნია, რომ საკითხის დასმა დროის მოთხოვნას შეესაბამება.

ირაკლი რეხვიაშვილი,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ჯიმი ჯალიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;
ვახტანგ ხოჯოლავა,
მასწავლებელი.

ავტორთა თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება აჭარაში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ეკოლოგია

პირველად ჩვენს ქვეყანაში

დაიწყო ლაკბესა და ილტოს წყალსაცავთა ეკოლოგიური ექსპერტიზა

დღეს, მოსახლეობის ყველა ფენის გაზრდილი სოციალური აქტიურობის პირობებში, როცა გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება და განახლება-გამრავლება საყოველთაო საზრუნავი გახდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომელიც ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით უნდა მოეწყოს. სწორედ ამგვარი ექსპერტიზა სჭირდება საწარმოო ძალებისა და სახალხო მეურნეობის დარგთა განლაგების სქემებს, ახალ ტექნიკას, ტექნოლოგიას მასალებსა და სხვა; აგრეთვე იმ ობიექტთა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე.

ასეთი ეკოლოგიური ექსპერტიზა ბოლო დრომდე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ხშირად ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მიზეზი ბევრია, მაგრამ ძირითადის გამოყოფა მაინც შეიძლება. ჯერ ერთი, მეცნიერებს იშვიათად იწვევდნენ პროექტების, გადაწყვეტილებების თუ გეგმების ექსპერტიზისათვის, ხოლო მათს აზრს, თუ იგი არ ეთანხმებოდა უწყებათა ინტერესებს უგულებელყოფდნენ, ხშირად... დევნიდნენ კიდეც. მეორეც: დასაპროექტებელ ობიექტთა გარემოზე ზემოქმედების ხასიათი, მისი გამოვლენა და შედეგები, უმრავლეს შემთხვევაში შენიღბულია, საწყისი მონაცემები ძირითადად, ალბათობითი ხასიათისაა, ბევრ ეკოლოგიურ „სიტუაციაში" მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ძალიან რთულია და ა. შ. და ბოლოს, რაც მთავარია, (აღნიშნულ მიზეზთა გამო) დღემდე არ არსებობდა სამეურნეო პროექტების კომპლექსური ექსპერტიზის ელემენტარული მეთოდოლოგია.

მართალია, ამ ბოლო დროს ამა თუ იმ პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის (ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ა. შ.) ექსპერტიზაში საკმაოდ ავტორიტეტიანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სპეციალისტები მონაწილეობენ, მაგრამ მათს დასკვნებში, გათვალისწინებული და დაცულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ცალკეული დარგების ინტერესები, რომლებიც, ჩვეულებრივ ერთმანეთს უპირისპირდებიან (მაგალითად, ობიექტისა და ბუნებადაცვითი ღონისძიებების ღირებულებები). ასეთ სიტუაციაში ძალაუნებურად ხდება აღნიშნული დასკვნების ხელოვნური შერწყმა, ნაცვლად პრობლემის მეცნიერულად დასაბუთებული კომპრომისული შეჯერება-გადაწყვეტისა.

ამჟამად, საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულმა წყლის ეკოსისტემის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ეკოლოგიურ ასოციაციასთან ერთად დაამუშავა და შექმნა კომპლექსური ექსპერტიზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა, რომელიც ძალზე ეფექტიანი იქნება ნებისმიერი სამეცნიერო-ტექნიკური თუ საინჟინრო ან სხვა პროექტის განხორციელებისას.

აღნიშნულ მეთოდიკას საფუძვლად უდევს მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრინციპის გამოყენება და მათი სინთეზი ოპერაციების მრავალმიზნობრივი ოპტიმიზაციისა და ექსპერტულ შეფასებათა თეორიის ძირითად დებულებებთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ეს მეთოდიკა ჯერჯერობით ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტია, რომლის რეალიზაცია ელექტრონულ გამოთვლით მანქანაზე („ექსპერტი-მანქანა") დიალოგურ რეჟიმში საშუალებას იძლევა გაიხსნას პრობლემის არსი, დეტალურად იქნეს განხილული შერჩეულ გადაწყვეტაზე ყველაზე არსებითად მოქმედი ფაქტორები (ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, სოციალური და სხვა), ამა თუ იმ ობიექტის აგების შედეგად მოსალოდნელი მავნე შედეგები, რისკის ოდენობა და ა. შ.

საექსპერტიზოდ ყალიბდება სამუშაო ჯგუფი და შეირჩევა სხვადასხვა პროფილის საექსპერტო ჯგუფები (მათ შორის, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი), რომლებშიც შევლენ მაღალკვალიფიციური ექსპერტ-სპეციალისტები (ეკონომისტები, ბიოლოგები, ეკოლოგები, მედიკოსები, სოციოლოგები და ა. შ.). სამუშაო ჯგუფი აერთიანებს საექსპერტო ობიექტის მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებსა და ტექნიკურ მუშაკებს იმ ვარაუდით, რომ თითოეული მოემსახუროს ერთ საექსპერტო ჯგუფს. ცალკეულ ჯგუფებში გაერთიანებულია არა ნაკლებ 5-7 სპეციალისტ-ექსპერტიც, რომლებსაც ისევე როგორც სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას ექსპერტიზის მომწყობი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბრძანებით ამტკიცებს.

ეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომელიც რვა ტურად იწყობა, ორგანიზაციას უწევს სამუშაო ჯგუფი. ექსპერტიზის მსვლელობის სისტემატური გაშუქების, საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებისა და მათი აზრის ფორმირებისათვის შექმნილია საზოგადოების წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან ცალკეულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები (სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების და ა. შ.). აღნიშნული ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან და ეცნობიან საექსპერტო ჯგუფების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ექსპერტიზის მსვლელობის ვიდეოტრანსლაცია.

საექსპერტო ჯგუფები მუშაობენ 5 პირობითი სცენარის მიხედვით: **ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** მოიცავს დაავადებების, უბედური შემთხვევებისა თუ სიკვდილიანობის დონეს სავარაუდო ობიექტის მშენებლობის ექსპლოატაციის, ავარიების ან ინციდენტის დროს; **გარემოზე ზემოქმედება** ეხება ეკოსისტემათა მდგრადობას — ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების რაოდენობის შემცირებას ან განადგურებას, წყალსატევების, ატმოსფეროს ნიადაგის და ა. შ. გაბინძურებას და მათზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებას; **სოციალური ზემოქმედება** გულისხმობს ობიექტის გავლენას მოსახლეობის მიგრაციაზე, ცვლილებებს ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, მშენებელი და საექსპლოატაციო პერსონალის შერწყმას ადგილობრივ მოსახლეობასთან, არქეოლოგიურ ძეგლებს რეკრეაციას და ა. შ. **ეკონომიკური ზემოქმედება** ითვალისწინებს ობიექტის მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოებისა და საიმედოობის მიზნით ღონისძიებათა ხარჯებს, მშენებლობის პერიოდში კაპიტალდაბანდებათა ზრდას და ა. შ. **საზოგადოებრივი აზრი** წარმოაჩენს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ყველა იმ საზოგადოებრივ ჯგუფთა აზრს, რომელთა ინტერესები დაკავშირებულია ამა თუ იმ ობიექტის განხორციელებასთან.

მდინარეებზე ლაკბესა და ილტოზე წყალსაცავთა მოწყობის ძირითადი მიზანი მიწების მორწყვაა.

ვინაიდან ლაკბეს კაშხლის და მასთან დაკავშირებული ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობების მშენებლობა კარგა ხანია მიმდინარეობს (შესრულებულ სამუშაოებზე უკვე დახარჯულია 47 მილიონი მანეთი), ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი მიზანია დაზუსტდეს რა სიმაღლის კაშხალი, ანუ რა მოცულობის წყალსაცავი უნდა აიგოს, რათა მეტ-ნაკლებად მაინც შევინარჩუნოთ ეკოლოგიური წონასწორობა და ამასთან, მაქსიმალური სახალხო-სამეურნეო თუ სოციალურ-ზნეობრივი ეფექტი მივიღოთ.

რაც შეეხება ილტოს კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებულ ექსპერტიზას, აქ საბოლოოდ უნდა გაირკვეს წყალსაცავის მოწყობა-არმოწყობის ალტერნატივა; (კაშხალის პარამეტრების გათვალისწინებით დადგინდეს, რა დადებითი ან უარყოფითი ეფექტი მოჰყვება მათ ზემოაღნიშნული სარწყავი კომპლექსისათვის (ცხადია, რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციების გათვალისწინებით).

საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ექსპერტიზის ჩასატარებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ღოღობერიძე, საექსპერტო ობიექტის სპეციალისტი — „საქსახაგროწყალპროექტის" დირექტორი გ. ფალავანდიშვილი) და საექსპერტო ჯგუფები.

საექსპერტო ჯგუფები ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას განხილული იქნება შემდეგი ფაქტორები:

I ჯგუფში — უბედური შემთხვევები კაშხალის ალბათური დანგრევის შედეგად. წყალსაცავის მოწყობით გამოწვეული ინფექციური და არაინფექციური (მათ შორის პარაზიტული) დაავადებანი, წყლის ფაქტორის ირიბი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დაავადებანი;

II ჯგუფში — ეკოსისტემის ბიოპროდუქტიულობის შეცვლა, წყალსაცავის თვითწმენდის უნარი, ფიტოპლანქტონის, ბენტოსური წყალმცენარეების, ზოოპლანქტონის და ზოობენტოსის წარმოქმნა-განვითარება, მარილებისა და გაზური რეჟიმის ფორმირება, მინერალური და ორგანული ნივთიერებებით, აგრეთვე ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული წყლის ხარისხის შეცვლა, თევზპროდუქტიულობა;

III ჯგუფში — ჰიდროლოგიური რეჟიმების შეცვლა ზედა და ქვედა ბიეფში, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დონეებისა და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების ფორმირება წყალსაცავთა მიმდებარე ტერიტორიებზე, წყალსაცავის ფილტრაცია და დალექვა, ტერიტორიის დაჭაობება;

IV ჯგუფში — წყალსაცავის ნაპირების დამუშავება და ფორმირება, ფერდობებზე მიმდებარე პროცესების განვითარება და გააქტიურება, ეგზოგენური და ენდოგენური პროცესები, სეისმური გააქტიურება რეგიონში;

V ჯგუფში — მიწისა და მცენარეული საფარის ცვლილება, გადაშენების პირზე მისული ფლორისა და ფაუნის ცალკეული წარმომადგენლების დაკარგვა, ობიექტის გავლენა ცხოველთა სამყაროზე;

VI ჯგუფში — ტემპერატურების, ტენიანობის, ნალექების რაოდენობისა და ღრუბლიანობის, ქარების სიჩქარეებისა და მიმართულებების ცვლილება, ნისლების წარმოქმნა.

VII ჯგუფში — ქვედა ბიეფში მყოფი ჭალების ბუნებრივი განოყიერების უნარის დაკარგვა წყალსაცავში ლამის შეჩერებით, ქვედა ბიეფის დაცვა წყალდიდობებისაგან ტერიტორიის გატენიანება და დაჭაობება სასარგებლო წიაღისეულის ადგილმდებარეობის დატბორვა.

VIII ჯგუფში — კულტურული და ისტორიული ძეგლების დატბორვა-დაზიანება, რეკრეაცია, მშენებლობით გამოწვეული ლანდშაფტის შეცვლა, ახალ დასახლებათა გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობების შეცვლა, ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესება, წყალსაცავიდან ამოღებული შლამისა და მყარი ნატანის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის. ჰუმუსური ფენის მოხსნა და აგროსამრეწველო გამოყენება.

ზემოაღნიშნული ფაქტორები სავარაუდოა და ექსპერტიზის დროს დაზუსტდება.

ასეთი ეკოლოგიური ექსპერტიზა პირველად ტარდება როგორც კავშირში, ასევე რესპუბლიკაში.

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, სპეციალისტსა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ვთხოვთ 1 ნოემბრამდე მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებანი როგორც ექსპერტიზის, ასევე აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით შემდეგ მისამართით: 380086, ქ. თბილისი მინდელის ქ. 9. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი. ტელ: 38-51-54.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

უცხოეთში

[illegible]

26 ოქტომბერი

„ალტერნატივა არ არის"

ამ სათაურით ჰელსინკში გამოიცა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებისა და გამოსვლების კრებული

ჰელსინკი. საზოგადოებრიობის უამრავი წარმომადგენელი, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები მოვიდნენ დედაქალაქის სასტუმრო „კალასტაიატორპაში", სადაც გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებისა და გამოსვლების კრებულის — „ალტერნატივა არ არის" წარდგენის ოფიციალური ცერემონია. წიგნი ფინურ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „ვერნერ სედერსტრემმა" პრესის სააგენტო „ახალ ამბებთან" ერთად.

კრებულის წინასიტყვაობაში მ. ს. გორბაჩოვი წერს, რომ გარდაქმნის პროცესები ჩვენს ქვეყანაში მარტივად არ მიმდინარეობს. მათი შედეგები ყველგან როდი იგრძნობა ისე, როგორც გვსურს. სადღაც უკვე საკმაოდ შორს გავიჭერით — ეს ეხება უწინარესად დემოკრატიზაციასა და საჯაროობას. სადღაც გარდაქმნა ჯერ კიდევ ისე შესამჩნევი არ არის, ზოგან კი ბუქსაობს. ჩვენ ვხედავთ ამას და ვსწავლობთ წარსულისაგან დარჩენილი და აწმყოს რევოლუციური ცვლილებებით შობილი ამოცანების ახლებურად გადაწყვეტას. გარდაქმნა ჩვენი ბედია. ეს არის უნიკალური შანსი, რომელსაც ისტორია გვაძლევს სოციალიზმის განახლებისათვის, ნამდვილად სოციალისტური იდეებისა და პრინციპების რეალიზაციისათვის. ალტერნატივა მას ჩვენთან არა აქვს. მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს მთელი საბჭოთა საზოგადოების სოციალისტურ განახლებას, მიაღწევს თავის მიზნებს. ასეთია ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის ნება.

იმედი მაქვს კრებულის მასალები დაეხმარება ფინელ მკითხველს უფრო სრული წარმოდგენა შეიქმნას ჩვენი საქმიანობის შესახებ საერთაშორისო სარბიელზე. აქ მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ: გარდაქმნამ პრინციპულად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება გარემო სამყაროსადმი. დღეს განსაკუთრებით კარგახსნილი ვართ, გულწრფელად მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველასთან, ვისთვისაც ადამიანის ცხოვრება და ღირსება უმაღლესი ღირებულებანია. თვით გარდაქმნა მიგვაჩნია მთელი მსოფლიო წყობილების დემოკრატიზაციის პროცესის ნაწილად, რომელიც ძალას იკრებს.

⊙ პორტუგალია

ნატოს პოზიცია საბჭოთა ინიციატივებისადმი

კინტა-დუ-ლაბუ (პორტუგალია). ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა, რომლებიც აქ შეიკრიბნენ ამ ბლოკის ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის მორიგ სხდომაზე, საერთოდ დადებითად შეაფასეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის განცხადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ნაცვალგების საფუძველზე საქმე წარმართოს ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების დაშლისათვის, აგრეთვე იდეა 2000 წლისათვის სხვათა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და სამხედრო ყოფნის ლიკვიდაციის შესახებ.

ეს ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა პორტუგალიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. სხდომის მრავალი მონაწილის აზრით, თქვა მან, ასეთი ინიციატივები ახალ პერსპექტივებს სახავს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ შეხვედრის მონაწილენი პოზიტიურად აფასებენ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ვენის მოლაპარაკების მიმდინარეობას და იმედი აქვთ, რომ მომავალი წლის უკვე პირველ ნახევარში შესაძლებელი გახდება ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერა.

● ინგლისი

„მოდერნიზაციის" საბაბით

ლონდონი. დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრებმა ტომ კინგმა და რიჩარდ ჩეინიმ დაადასტურეს პრესის ამასწინანდელი ცნობა, რომ ლონდონი და ვაშინგტონი განიხილავენ ბრიტანეთის კუნძულებზე ახალი ამერიკული ფ-15-ე გამანადგურებლების განლაგების საკითხს. ამ თვითმფრინავებს შეეძლებათ 640 კილომეტრამდე სიშორის მოქმედების ტაქტიკური ბირთვული რაკეტების ტარება. „მე არ შემიძლია დავასახელო ასეთი გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული ვადები, მაგრამ საკითხს განვიხილავთ", — განაცხადა კერძოდ, ბრიტანეთის სამხედრო უწყების მეთაურმა.

ორივე მინისტრი ამტკიცებდა, რომ საქმე ეხება ნატოს ტაქტიკური ბირთვული საშუალებების მხოლოდ „მოდერნიზაციას" და რომ ასეთი ნაბიჯი არ იქნებოდა მცირე და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების დარღვევა. მიუხედავად ამისა, ისინი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ რომ ახალი გამანადგურებელ-რაკეტმზიდების განლაგების გეგმებმა ევროპაში განიარაღების მზარდი განწყობილების პირობებში შეიძლება გამოიწვიოს ბევრი დასავლეთევროპელის გაუგებრობა და უკმაყოფილება, „თუ საზოგადოებრიობა ასეთნაირად არის განწყობილი, იგი დიდად ცდებაო", განაცხადა პენტაგონის მეთაურმა. მისი ბრიტანელი კოლეგის ტ. კინგის თქმით, დასავლეთ ევროპაში ნატოს ტაქტიკური ბირთვული საშუალებების მოდერნიზაციის გზებს ამჟამად განიხილავენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა ქვეყანაში მაგრამ ფ-15-ე გამანადგურებლების განლაგების კონკრეტული საკითხი გადაწყდება მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმებით.

ფოტოფაქტი



⊙ ნამიბია. ასეთ სურათს ჯერ კიდევ ხშირად ნახავთ ვინდჰუკში, ნამიბიის ადმინისტრაციულ ცენტრში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საოკუპაციო კორპუსის შეიარაღებულ წარმომადგენელს მიზანში ჰყავს ამოღებული სვაპოს მომხრე.

ფინეთის ლეხტიკუვას სააგენტოს ეს ფოტოსურათი გარკვეულწილად ასახავს ნამიბიაში არსებულ სიტუაციას. ერთმანეთს უპირისპირდება ორი მთავარი ძალა. ერთი მხრივ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი კოლონიური ადმინისტრაცია და, მეორე მხრივ, ნამიბიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია სვაპო, რომელიც ძალას იკრებს და მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველია. პირველის ამოცანაა არ დაუშვას ხელისუფლების სხვის ხელში გადაცემა მაშინ, როცა უმრავლესობა თავისუფლებისათვის იბრძვის.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

მომავალ წარმატებათა საწინდარი



ამ დღეს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტის პროგრამა მსმენელებს სთავაზობდა ს. რახმანინოვის II სიმფონიას, მენდელსონის სავიოლინო კონცერტს (სოლისტი ნატო გაბუნია) და ი. ბრამსის „ოთხ უნგრულ ცეკვას“. კონცერტზე მსმენელის წინაშე თავისი სადირიჟორო ხელოვნება უნდა წარმოეჩინა აზმაიფარაშვილთა — ქართული მუსიკალური კულტურის ამ ცნობილი მოამაგე გვარის მესამე თაობის წარმომადგენელს.

ამ გვარის მუსიკოსთა პირველ თაობას მიეკუთვნება დირიჟორი და კომპოზიტორი შალვა აზმაიფარაშვილი. იგი კარგად ახსოვთ ქართული პროფესიული მუსიკის მოყვარულთა ძველ თაობას. დაუვიწყარი ევგენი მიქელაძის უდროოდ დაღუპვის შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა და გარდაცვალებამდე, როგორც მთავარი დირიჟორი, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს, საქართველოს რადიოს სიმფონიურ ორკესტრსა და ბოლოს, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს.

შემდეგ დირიჟორის „ესტაფეტა“ მიიღო ამ გვარის მეორე წარმომადგენელმა — ჯიჯი აზმაიფარაშვილმა. ეს შესანიშნავი მუსიკოსი, რომელიც დღეს სათავეში უდგას საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრს, წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა მუსიკალურ კოლექტივებში, როგორც ერთ-ერთი მოწინავე დირიჟორი. მან არაერთ საინტერესო წამოწყებას დაუდო სათავე.

და აი, აზმაიფარაშვილ-მუსიკოსთა მესამე თაობის წარმომადგენელი, ბატონ ჯიჯის უმცროსი ვაჟიშვილი, 27 წლის ზაზა წარსდგა მსმენელის წინაშე თავისი ახალი სადირიჟორო პროგრამით. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე სწავლის დროს ზაზა აზმაიფარაშვილს ბუნებრივ ნიჭთან ერთად აღმოაჩნდა სამაგალითო შრომისმოყვარეობა, რომელიც მას ჩაუნერგა მამამ და განსაკუთრებით მისმა პედაგოგმა ავთანდილ რევიშვილმა. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ზაზა მეოთხე წელია სწავლას განაგრძობს ლენინგრადის ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საოპერო-სიმფონიური დირიჟორის სპეციალობით. უკვე კარგად ცნობილი დირიჟორის ი. ტემირკანოვის კლასში. ზაზამ მსოფლიო მუსიკალურ კორიფეთა მოცარტის, ბეთჰოვენის, განსაკუთრებით მალერის (იგი მისი საყვარელი კომპოზიტორია), ჩაიკოვსკის, შოსტაკოვიჩისა და სხვათა ქმნილებებთან ერთად დიდი გულმოდგინებით შეისწავლა ქართული საოპერო თუ სიმფონიური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები.

პირველი, რაც თვალში ხვდება მსმენელს, ეს არის აკადემიურობა, რომლითაც გამოირჩევა მისი დირიჟორობის მანერა. ეს ფაქტი ნათლად გამოიკვეთა ს. რახმანინოვის მეორე სიმფონიის ინტერპრეტაციაში, რომელიც კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდა. ამ მასშტაბურ ქმნილებაში მკაფიოდ ჩანს რახმანინოვისეული რომანტიკული პათოსი, სიმამაცე, რომელიც დაპირისპირებულია ლირიკულ ჭვრეტით განწყობასთან. ზაზა აზმაიფარაშვილის მხატვრული სახე გამოირჩეოდა ემოციური მუხტით, რომელიც ძალიან ორგანულად შეერწყა ავტორისეულ აზრს და მხატვრულ სახიერებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დირიჟორმა ამ მუსიკალური ტილოს არსი სავსებით შეიგრძნო და სიმფონიის შესრულების დროს ორკესტრიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

კონცერტის მეორე განყოფილებაში თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო განყოფილების მესამე კურსის სტუდენტმა ნატო გაბუნიამ შეასრულა XIX საუკუნის რომანტიკული მუსიკის ერთ-ერთი შედევრი ფ. მენდელსონის სავიოლინო კონცერტი. ეს პოპულარული ნაწარმოები, რომელიც გამოირჩევა ულამაზესი მუსიკითა და ტექნიკური სირთულით, მსოფლიოში მრავალ გამოჩენილ მევიოლინეთა რეპერტუარშია. ამიტომ ახალგაზრდა მუსიკოსმა და მისმა პედაგოგმა, თავად შესანიშნავმა მევიოლინემ პროფესორმა თამაზ ბათიაშვილმა, ჩანს მიზნად დაისახეს არ ევლოთ გაკვალული გზით და მიაღწიეს კიდეც მიზანს. ნატოს შესრულება გამოირჩეოდა რომანტიკული მიმზიდველობით. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტის დასაწყისში სოლისტის დაკვრაში გაიელვა მცირე ინტონაციურმა უზუსტობამ, ამან ხელი არ შეუშალა ნაწარმოების მეორე და მესამე ნაწილის უფრო მოხდენილად შესრულებას.

ნატო გაბუნია ამჟამად ი. ბრამსის ურთულეს სავიოლინო კონცერტს უკრავს. მომავალში კი იგი მონაწილეობას მიიღებს პარიზის მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე.

სიმფონიური კონცერტის დამაგვირგვინებელი იყო ბრამსის „ოთხი უნგრული ცეკვა“. შესანიშნავი გერმანელი კომპოზიტორის ამ „ოთხი მარგალიტის“ მუსიკალურ სილამაზეს თავისებური ხევდის ელფერი დაჰკრავს, რომლითაც გამსჭვალულია უნგრული ეროვნული ფოლკლორი. ეს თვისებები ნათლად გამოიკვეთა ორკესტრის მიერ „ცეკვების“ შესრულებაში, რაც ახალგაზრდა დირიჟორის კიდევ ერთი დამსახურებაა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის ღვაწლი კონცერტის წარმატებაში. ორკესტრის სოლისტები: მევიოლინე ბორის ლატერი და კლარნეტისტი ანდო გეჯაძე ს. რახმანინოვის II სიმფონიის შესრულებისას საუკეთესო მუსიკოსებად მოგვევლინენ.

კონცერტის შემდეგ შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ სულხან ნასიძეს, აი რა თქვა მან:

— დირიჟორობა უაღრესად რთული პროფესიაა. იგი ბუნებრივი მონაცემების მთელ კომპლექსს მოითხოვს. ზაზას რამდენჯერმე მოვუსმინე და, ვფიქრობ, იგი ის მუსიკოსია, რომელიც დაჯილდოებულია როგორც შინაგანი მუსიკალური მონაცემებით, ისე კარგი პლასტიკით, გამომსახველი ჟესტითა და როგორც ჩანს, ორგანიზატორული უნარითაც.

აზრი გაგვიზიარა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ელდარ ისაკაძემ:

— მენდელსონის სავიოლინო კონცერტის შესრულება რთულია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი სავიოლინო მუსიკის ერთ-ერთი შედევრია და მეორეც იმიტომ, რომ სავიოლინო მუსიკის მოყვარულთ ამ კონცერტის ბევრი ინტერპრეტაციები აქვთ მოსმენილი. ნატო გაბუნიას ინტერპრეტაცია გამოირჩეოდა ლირიზმით, სინატიფით, ჭეშმარიტი ბგერის ჟღერადობით. ძალიან გაგვახარა ზაზა აზმაიფარაშვილმა. მისი სახით საქართველოს ნიჭიერი და პერსპექტიული დირიჟორი ჰყავს.

ალექსი შანიძე,
კომპოზიტორი.

• • •

სურათზე: დირიჟორობს ზაზა აზმაიფარაშვილი.

ისტორია კინოფირზე

ეთნოგრაფებისა და სოციოლოგების გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოფლად ცივილიზაციის შეჭრასთან დაკავშირებით ტრადიციები და წეს-ჩვეულებები კარგავს პირვანდელ სახეს. მაგრამ არ დაუკარგავს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჩვენი ხალხის უძველესი ისტორიის შესწავლისა და გაშუქების საქმეში ენიჭება.

უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის რელიგიის ისტორიის განყოფილება (გამგე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ხუციშვილი) სისტემატურად აწყობს სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სწავლობს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ძეგლებსა და შემორჩენილ წეს-ჩვეულებებს, მოსახლეობის ყოფას და ყოველივე ამას კინო-ფოტოდოკუმენტებში აფიქსირებს. მუზეუმის მრავალი წლის მუშაობის გამოცდილებამ ამ საკითხის კვლევის საქმეში ცხადყო, რომ ყველაზე ეფექტიან საშუალებას იძლევა შესასწავლი ობიექტების დოკუმენტური კინოფიქსირება.

მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ კინოს როგორც განსაკუთრებული ტიპის ისტორიულ წყაროს, მის განუმეორებელ თვისებებს — დოკუმენტურად დააფიქსიროს და ზადასცეს მომავალ თაობას დღემდე შემორჩენილი ტრადიციები, ადათ-წესები, საზოგადოებრივ ყოფაში მიმდინარე ცვლილებები. უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებიც ამ საკითხისადმია მიძღვნილი. დოკუმენტალური კინოს მნიშვნელობაზე, როგორც დღევანდელ ჟამთაალმწერელზე მეტყველებს ისიც, რომ უკვე 3 წელია (1987, 1988 და 1989 წლები) რაც ქალაქ პიარნუში (ესტონეთი) იმართება ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, ასევე ევროპისა და ამერიკის ქვეყნები (საფრანგეთი, გფრ, კანადა და სხვანი).

აღსანიშნავია, რომ ამ სამივე კინოფესტივალზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა წარადგინა სამი დოკუმენტური ისტორიული ფილმი: „ფშავი“ (1987 წ.) „ხევსურეთი“ (1988 წ.) და „თუშეთი“ (1989). სასიხარულოა, რომ სამივე ფილმმა დიდი ყურადღება მიიქცია და ფესტივალის ჟიურის დიპლომები დაიმსახურა, „როგორც შესანიშნავმა მხატვრულმა და სამეცნიერო ნაწარმოებებმა“.

საქართველოში ეთნოგრაფიული კინოს განვითარებისათვის ზრუნვა მუზეუმმა დაიწყო 50-იან წლებიდან და განსაკუთრებით გაძლიერდა 60-70-იან წლებში. გაწეული მუშაობის შედეგად დღეისათვის მუზეუმის ფონდებში დაცულია უნიკალური მეცნიერულ-დოკუმენტური მასალა, რომელთაგან ბევრი ძეგლი უკვე აღარ არსებობს. მასალები მოძიებულია ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, საინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში და მუზეუმის მიერ 50-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ობიექტებზე. სწორედ ამ მოძიებული მასალების საფუძველზე მუზეუმმა დაამზადა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფილმები: „თუშეთი“ (12 ნაწილი, 1979 წ.), „ხევსურეთი“ (8 ნაწილი, 1980 წ.), „მთიულეთ-გუდამაყარი“ (3 ნაწილი 1979 წ.), „ფშავი“ (8 ნაწილი 1985 წ.).

ამჟამად დაწყებულია 5-ნაწილიანი დოკუმენტური ფილმის „თიანეთის“ გადაღება და სადაცაა დამთავრდება ფილმი „ყველიერი საქართველოში“.

1990 წლიდან მუზეუმი იწყებს არქეოლოგიური და ისტორიული ფილმების წარმოებას.

სულიკო ნუცუბიძე.

კონტაქტები

„მრავალჟამიერ“ კალიფორნიაში

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ანატოლი რუხაძე ფოტოტელეგრაფით გადმოგვცემს ტექსტს და სურათებს ქალაქ სან-დიეგოდან (ამერიკის შეერთებული შტატები).

მიმზიდველი მიკი მაუსი და თბილისელი მოსწავლე თათია რუხაძე ცეკვავენ „ქართულს“, ფართოფარფლებიან ქუდებში კოვბოები მოთმინებით დგანან ხინკლის რიგში, ხოლო 65 ათასი მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოვებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა გამოსვლებს.

მესამე დღეა სანდიეგოელები ეცნობიან ქართულ ხელოვნებას. მათ ელით შეხვედრები თბილისის მესამე ექსპერიმენტული სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლთან, თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრთან, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებთან, მხატვრებთან, კინემატოგრაფისტებთან, ხელმარჯვე ოსტატებთან, კულინარებთან.

საქართველოს უძველესმა კულტურამ და ხელოვნებამ გაგვაოცა, — თქვა სან-დიეგოს მერმა მორინ ო'კონორმა.

კალიფორნიაში ჟღერს „მრავალჟამიერი“.

სურათებზე: თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ნორჩი მსახიობები ბალბუას პარკში გამოსვლის დროს. ოვაციით შეხვდნენ სანდიეგოელები საქართველოს ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა გამოსვლას.

„წაღვერი“ — ჩინებულია!

მომხმარებლებმა მიიღეს ახალი სამკურნალო წყლის პირველი პარტია

ქრონიკული გასტრიტი კუჭის დაქვეითებული, ნორმალური და მომატებული სეკრეტული ფუნქციით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული კოლიტი, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ქრონიკული პანკრეატიტი, საშარდე გზების დაავადებები — ასეთია მინერალური წყლის „წაღვერის“ სამკურნალო რეცეპტურა და შესაძლებლობები.

„წაღვერი“ ვისთვის ახალი მინერალური, თავად წაღვერლებისათვის კი ჩვეულებრივი წყალია, რომელიც ამ დაბის დასვენების პარკში აგერ საუკუნეზე მეტია მოჩუხჩუხებს და დღემდე უქმად იღვრებოდა.

დიახ, უქმად ვიდრე წყალს გატანებულ ათასებს ყურადღება არ მიაქციეს ბორჯომის რაიონის საწარმოო კომბინატის უალკოჰოლო სასმელების საწარმოს მოიჯარეებმა.

აი რას ამბობს საწარმოო კომბინატის დირექტორი გიორგი ჩაჩანიძე: „ამ ზამთარს ლენინგრადიდან მივიღეთ უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც საათში 3000 ბოთლს ავსებს.

ფაქტობრივად შესვენების შემდეგ ჩვენს მუშებს სამუშაო აღარ ჰქონდათ, რადგან უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმის დღიური დავალება შესვენებამდე სრულდებოდა. აი, სწორედ მაშინ მიიპყრო ჩვენი ყურადღება დაბა წაღვერში გამომავალმა მინერალურმა წყალმა, რომელიც იმხანად პანსიონატ „ეჩხობში“ გაიყვანეს და დამსვენებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

მინერალური წყალი ცისტერნებით საწარმოო კომბინატში ჩამოაქვთ, სადაც უჟანგავი მილებით ავტონომიური რეჟიმით გადის ჩამომსხმელ ხაზზე. მოიჯარეები შესვენებამდე უალკოჰოლო სასმელებს ასხამენ ბოთლებში, შესვენების შემდეგ — ახალ მინერალურ წყალს „წაღვერს“. დღეში საშუალოდ 10000-15000 ბოთლი გადის სავაჭრო ქსელში.

„წაღვერის“ პირველი პარტია ამ ერთი თვის წინათ ჩამოასხეს და დღემდე წარმოებას 1200 მანეთი სუფთა მოგება მისცა. მართლაც ათეული წლების მანძილზე წყალს ვატანდით ათასებს და მილიონებს.

„წაღვერი“ თანდათანობით მიიკვლევს გზას ქვეყნის შიდა ბაზრისაკენ. მინერალურ წყალზე უკვე მოვიდა დიდი შეკვეთა ყირიმიდან და შუა აზიიდან. მოიჯარეებმა „წაღვერი“ ქვეყნის სხვა რეგიონებში გააგზავნეს სადეგუსტაციოდ.

„წაღვერი“ — ჩინებულია ამბობენ მომხმარებლები.

აქამდე წამგებიანი საწარმო სამეურნეო წელს პირველად დაამთავრებს მოგებით. ესეც „წაღვერის“ წყალობა იქნება.

ვასილ გურამიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გვემატოს

ახალი ლიტერატურული გაზეთი



ამ დღეებში „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში გამოჩნდა ახალი გაზეთი „უქიმერიონი“. ამ ფაქტთან დაკავშირებით, რამდენიმე კითხვით მივმართეთ მის რედაქტორს, მწერალ **თეიმურაზ ლანჩავას.**

— რა დანიშნულება აქვს „უქიმერიონს“?

— „უქიმერიონი“ ერთობლივი გამოშვებაა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების და გაზეთ „ქუთაისისა“. მისი დანიშნულებაა მრავალფეროვნად წარმოაჩინოს მიმდინარე ლიტერატურული პროცესები, გზა გაუხსნას ნიჭიერ ახალგაზრდობას, კონტაქტები დაამყაროს მეზობელ რაიონებთან, სადაც შემოქმედებითი გაერთიანებები არსებობენ.

— როგორი იქნება გაზეთის პერიოდულობა?

— გაზეთი თვეში ერთხელ გამოვა. ვეცდებით, მისი ლიტერატურული ღირებულება მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყოს, ეს კი საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ და გავიმრავლოთ მკითხველი.

— პირველი ნომრით თუ ხართ კმაყოფილი?

— მთავარია, რომ დაიბადა ახალი გაზეთი, თორემ ნაკლს თანდათან გამოვასწორებთ... „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ — დიდი ილიას ეს სიტყვები წავუმძღვარეთ გაზეთს. ვფიქრობთ, ამ ეპიგრაფში გამოხატულია გაზეთის კრედოც.

პირველი ნომერი იხსნება ილიასავე ლექსით „დედაო ღვთისავ“. იქვე გამოქვეყნებულია სარედაქციო სტატია „სულიერი ამაღლებისათვის“.

— რაკი „უქიმერიონი“ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ორგანოა და თქვენ ამ განყოფილების ხელმძღვანელი ბრძანდებით, ცოტა რამ გვიამბეთ განყოფილების მუშაობაზე...

— სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ თანამდებობაზე ამირჩიეს. ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც დამეკისრა. ქუთაისის შემოქმედებით ინტელიგენციას და, მით უმეტეს მწერლობას, ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა და უკავია რესპუბლიკის ცხოვრებაში. დროის ამ მცირე მონაკვეთში ქალაქის ხელმძღვანელობისა და კოლეგების დახმარებით შევძელით სიახლეებს შევჭიდებოდით. გაზეთ „უქიმერიონზე“ უკვე ითქვა. ასევე საინტერესო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მწერალთა კავშირთან შევქმენით ლიტერატურული თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ერემო სვანაძე), სადაც გამორჩეულად ნიჭიერი მსახიობები მოვიწვიეთ. ამ თეატრის დანიშნულებაა, ფართო პროპაგანდა გაუწიოს რესპუბლიკაში მცხოვრებ მწერალთა ნაწარმოებების სცენურ აღქმას.

უმნიშვნელოვანეს ფაქტად მივაჩნია ალმანახ „განთიადის“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთება. კარგი პირი უჩანს მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმესაც.

გვაქვს მომავლის პერსპექტიული გეგმები, ვნახოთ...

ესაუბრა
ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სპორტის ამბები

მიზნამდე ერთი ნაბიჯია

ორი ტურიც, და დასრულდება პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობა. 25 ოქტომბერს გამართულ ტურში ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში იყო კრასნოდარის „ყუბანისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ მატჩი. ლანჩხუთელი ფეხბურთელები ალმაცერობით თამაშობენ პირველობის ფინიშზე და უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური პრეტენდენტები არიან. მათი პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა კრასნოდარში მოპოვებულმა გამარჯვებამ — 3:1. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ „გურიამ“ ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და კიდევ ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. ლანჩხუთელთა მთავარმა კონკურენტმა, ალმაათის „კაირატმა“ შინ დაამარცხა ტიუმენის „გეოლოგი“ (1:0), თუმცა მისი შანსები ერთობ მოკრძალებულია. მით უმეტეს, ბოლო ტურში „გურია“ სწორედ „კაირატს“ უმასპინძლებს.

ქუთაისის „ტორპედომ“ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო რიგის „დაუგავას“, ბათუმისა და სტავროპოლის დინამოელთა მატჩი კი ფრედ დამთავრდა — 2:2. სხვა შეხვედრები: „კოტაიკი“ — ასკ „კარპატი“ — 2:0, „მეტალურგი“ — ცსკა — 0:1, ასკ როსტოვი — „კუზბასი“ — 0:0, „სპარტაკი“ — „ფაკელი“ — 1:0, „ნეფთჩი“ — „როსტსელმაში“ 4:0, „ფახტაქორი“ — „გეოლოგი“ — 2:0.

სატურნირო ორბიტა

● **ჩოგბურთი.** ჩეხოსლოვაკიელმა ივანე ლენდლმა ბოლონიის (იტალია) საერთაშორისო ტურნირის ფინალში დაამარცხა ამერიკელი ჯიმ კონორსი — 6:4, 7:5. შეჯიბრების შემდეგ ლენდლმა განაცხადა, რომ გაისად მისი მთავარი მიზანი იქნება უიმბლდონში გამარჯვება. სხვათა შორის, ლენდლი არასოდეს ყოფილა უიმბლდონის ჩემპიონი, თუმცა სათავეში უდგას პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ უძლიერეს ჩოგბურთელთა სიას. მას 208,53 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი (174,41), მესამეზე — შვედი სტეფან ედბერგი (133,72). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — მოსკოველი ანდრია ჩესნოკოვი 22-ე ადგილზეა — 41,88.

● **ფეხბურთი.** გამოვლინდა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე. იტალიის საგზური ვადამდე მოიპოვეს სამხრეთ კორეის ფეხბურთელებმა, რომლებმაც მეოთხე ტურში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს საუდის არაბეთის გუნდი — 2:0. ამ დღეებში შესარჩევი ტურნირის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: თურქეთი-ავსტრია — 3:0, ახლა მესამე ჯგუფში სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: 9 ქულით პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირის ნაკრები, თურქეთის, გდრ-სა და ავსტრიის გუნდებმა კი 7-7 ქულა მოაგროვეს. 8 ნოემბერს საბჭოთა ფეხბურთელები თურქეთის ნაკრებს უმასპინძლებენ.

მგზავრი, ტრანსპორტი, გზა

გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული განვითარების კონცეფცია დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სხვა პრობლემებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზების აღმოფხვრაზე, რაც ავტოსაგზაო შემთხვევებს იწვევს.

ცნობილია, რომ ავარიების 80 პროცენტზე მეტი მძღოლების მიერ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევით არის გამოწვეული, ამასთან, დიდია იმ ავარიათა რიცხვი, ქვეითად მოსიარულეთა დაუდევრობით რომ ხდება. ცხადია, ავტოსაგზაო შემთხვევათა აცილებაში გადამწყვეტი როლი ადამიანს ეკისრება, მძღოლი იქნება იგი თუ ქვეითად მოსიარულე. იგი დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ერთ-ერთი პირობაც არის. ეს კი დიდად არის დამოკიდებული მოძრაობის მთავარი ფაქტორის — ადამიანის პასუხისმგებლობასა და კულტურის ამაღლებაზე. ამ მიზნით შესაბამისი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან, მაგრამ ავარიულობის შემცირების სასურველი დონისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ. საკმარისია აღინიშნოს, რომ გატარებული ადმინისტრაციულ-აღმზრდელობითი ღონისძიებები ხელშესახებ შედეგებს ვერ აღწევს. მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად მილიონზე მეტი მძღოლი და ქვეითად მოსიარულე ისჯება ადმინისტრაციული წესით, მაგრამ იგი ავარიების შემცირებაზე ქმედით გავლენას მაინც ვერ ახდენს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები გაიზარდა, მოხდა 1535 ავარია, რის შედეგად 443 პირი გარდაიცვალა და 1831 მძიმედ დაშავდა. ე. ი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემთხვევათა რიცხვი 121 ერთეულით გაიზარდა, გარდაიცვალა 44 ადამიანით მეტი, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა 183 ერთეულით იმატა.

განსაკუთრებით საგანგაშოა სიჩქარის რეჟიმის დარღვევით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ამ მიზეზით მოხდა 457 ავარია, რამაც 159 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 572 კი მძიმედ დაშავდა და არავინ იცის, რა ბედი ეწევათ დაშავებულთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტატისტიკური აღრიცხვის მანკიერი პრაქტიკით ავარიაში დაშავებულთაგან შვიდი დღის შემდეგ გარდაცვლილნი აღარ აღირიცხებიან ავარიაში დაღუპულებად. ამდენად, ზემოაღნიშნული მონაცემები არცთუ ზუსტად ასახავს საქმის ფაქტობრივ გარემოებას. არადა, სიჩქარის რეჟიმის დაცვა ავარიულობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. გზებზე მოძრაობის წესების II. 1 პუნქტის შესაბამისად, „მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება ისეთი სიჩქარით უნდა წაიყვანოს, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის თავისებურებანი და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. მოძრაობისათვის დაბრკოლების ან საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში (რომლის შემჩნევა მძღოლს შეუძლია) მან უნდა მიიღოს ზომები სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრული გაჩერების ჩათვლით, ან მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის წინაღობის უსაფრთხო შემოვლის უზრუნველსაყოფად“.

ასეთია სიჩქარის რეჟიმი, და მისი განუხრელი დაცვა მძღოლის უპირველესი მოვალეობაა.

ერთი სიტყვით, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ თუ მკაცრად დავიცავთ ტრანსპორტით მოძრაობის, ქვეითად სიარულის წესებს, მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში საშუალოდ ყოველწლიურად დაღუპვას 600-მდე და დაშავებას — 3000-მდე ადამიანი გადაურჩება. მნიშვნელოვნად შემცირდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და მსჯავრდადებული არ გახდება 1500-მდე მოქალაქე, რესპუბლიკას არ მიადგება მილიონობით მანეთი ზარალი.

მოძრაობის მონაწილენო, ქართველებს საგლოვი და სატირალი არ გვაკლია, თქვენი დაუდევრობით და უდისციპლინობით ნუ შეამცირებთ ისედაც მცირერიცხოვან ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს, ნუ ალიკვლავთ თავისუფლებას, ნუ მიატოვებთ თქვენს ოჯახებს უპატრონოდ, დაფიქრდით!

გიორგი ცუცქირიძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ტემპერატურა ბარში 19-22, მთაში 15-20, მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 15-20 მეტრი წამში.

ტემპერატურა ბარში 17-22, მთაში 13-18, მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსი.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 15-20 მეტრი წამში.

ტემპერატურა 20-22 გრადუსი სითბო.

ტელევიზია — პარასკევი, 27 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი“ (პირველი ჩვენება). 14.50 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 15.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვსწავლობთ ვაჭრობას“ (პირველი ჩვენება). 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ გადაცემა ლენინგრადიდან. 17.00 — უფროსკლასელებისათვის. საქართველოს ისტორია. 17.30 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ვერაგობა და სიყვარული“. 17.40 — ლიტერატურული გადაცემა „კარგად მახსოვს“ (განმეორებით). 18.20 — მოსწავლეთათვის. „დემოკრატიის გაკვეთილი“. 19.05 — როგორ მოვაწყოთ ეკონომიკური შეჯიბრება. 20.00 — მოამბე. 20.40 — კინოჟურნალი. 20.50 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“ 21.30 — ხალხური შემოქმედება. „ქართული საგალობელი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ფილმის შუქ-ჩრდილები“. ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ანარა“.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა დიდ მხატვარზე. 16.25 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი. „ირკუტსკული ამბავი“. 18.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.15 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“. შესვენებისას (20.40) — კინოჟურნალი. 21.30 — მხატვრული ფილმი „მძარცველი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „მოხუცი ოსტატის ანდერძი“. IV სერია. 10.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 11.25 — მოგზაურთა კლუბი. 12.25 — სიმღერა-89. 13.55 — დოკუმენტური ტელეფილმი „დაბრუნება“. 16.30 — „ბავშვებს მხეცების შესახებ“. 17.00 — „ნატალია პანკოვა. „ფიქრები...“. მუსიკალური პროგრამა სვერდლოვსკიდან. 17.45 — გამარჯვებულები. 18.45 — „ვენის მოტივები“. ავსტრიის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი კინოპროგრამა. 19.15 — ინტერსიგნალი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საზღვარგარეთისთვის განკუთვნილი საბჭოთა რადიომაუწყებლობის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ტრანსლაცია ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „საჭიროა... სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის“. 23.00 — „ეს იყო... იყო...“. 23.20 — „თვალსაზრისი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ექიმ ალექსეევის ორი სიცოცხლე“. 9.35 და 10.45 — ისტორია. V კლასი. 9.55 და 11.05 — ინგლისური ენა. 10.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ავტოპორტრეტი“. 11.35 და 12.35 — ისტორია. VIII კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „კოდური დასახელება „სამხრეთული მეხი“. II სერია. 14.10 — სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „კანტელეს“ კონცერტი. 15.00 — რიტმული ტანვარჯიში. 15.30 — დოკუმენტური ფილმი „ბაიკალის გადარჩენაზე „ტბა“. 18.00 — ახალი ამბები. 18.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.35 — რიტმული ტანვარჯიში. 19.05 — ჩვენი ფონდებიდან. კამერული ორკესტრის კონცერტი ლ. ისაკაძის დირიჟორობით. პროგრამაშია ჯ. პერგოლეზისა და ი. ბრამსის ნაწარმოებები. 19.50 — რსფსრ ქალაქების ტელესტუდიები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი. „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“. II ტაიმი. „დნეპრი“ — „ტორპედო“. II ტაიმი. შესვენებისას (23.30) — ახალი ამბები. 0.20 — ა. ვედელი — საგუნდო კონცერტები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ტ 07217 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14